

ნანა სუმბაძე  
Nana Sumbadze

**თაობები და ღირებულებები**  
**GENERATIONS AND VALUES**

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი  
**Institute for Policy Studies**



თბილისი  
2012  
Tbilisi

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors are their only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.

Therefore, The Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



პროექტი განხორციელებულია ფონდის:  
„ღია-საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით  
The project is supported by Open Society Georgia Foundation

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **მერი ელენ ჩეტვინი**  
Editing of text in English: **Mary Ellen Chatwin**

წიგნის დიზაინი: **მაია სუმბაძე**  
Book design: **Maya Sumbadze**

დაკაბადონება: **ქეთევან გოგავა**  
Layout: **Ketevan Gogava**

**ISBN 978-9941-0-4604-9**

# შინაარსი

რეზიუმე .....	5
1. შესავალი .....	11
2. კვლევის საბანი და მეთოდოლოგია .....	16
3. ბამოკითხვის შედეგები .....	19
3.1. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი.....	19
3.1.1. მოკლე დახასიათება.....	19
3.1.2. ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული ღირებულებები.....	23
3.2. მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებითი ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სხვა ღირებულებები.....	31
3.2.1. მოკლე დახასიათება.....	31
3.2.2. მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები, მათთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული თვისებები .....	34
3.2.3. დემოკრატია.....	35
3.2.2. ნდობა და პატიოსნება .....	45
3.2.3. განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა და სამუშაოთი კმაყოფილება .....	48
3.3. რელიგია .....	52
3.4. სხვა ღირებულებების და კეთილდღეობის შეფასება.....	57
4. დასკვნა .....	60
EXECUTIVE SUMMARY .....	67
1. INTRODUCTION .....	72
2. RESEARCH QUESTIONS AND METHODOLOGY .....	76

3. RESULTS OF THE STUDY .....	79
3.1. Individualism and Collectivism .....	79
3.1.2. <i>Individualism – Collectivism Orientation s and         Corresponding Values</i> .....	82
3.2. Materialistic and Post-Materialistic Value Orientation and Other Values Connected to It .....	88
3.2.1. <i>Brief Description</i> .....	88
3.2.2. <i>Materialistic and Post-Materialistic Values, and the         Values and Personality Features Associated with Them</i> .....	90
3.2.3. <i>Democracy</i> .....	91
3.2.4. <i>Trust and Honesty</i> .....	99
3.2.5. <i>Education, Economic Well-being and         Satisfaction with Life</i> .....	101
3.3. Religion.....	105
3.4. Other Values and Estimations of Well-being .....	110
4. CONCLUSIONS .....	112

## რეზიუმე

ინდივიდის ღირებულებები მეტწილად დროით, კულტურით და პიროვნული მახასიათებლებით არის განსაზღვრული. სოციალურ, პოლიტიკურ ან ეკონომიკური გარემოს მკვეთრი შეცვლა ჩვეულებრივ კითხვის ქვეშ აყენებს საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს და დასაბამს აძლევს მათ შეცვლას. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა მკვეთრად შეცვალეს როგორც პოლიტიკური, ასევე სოციო-ეკონომიკური გარემო. შეუძლებელია ამ ყველაფერს მოსახლეობაში არ გამოეწვია ღირებულებების ცვლა და თუ ეს ასეა, იგი უფრო გამოკვეთილი ახალგაზრდებში უნდა იყოს, თაობაში რომელიც განსხვავებულ პირობებში გაიზარდა.

ღირებულებებს განმარტავენ, როგორც სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ ქმედებებს. სხვადასხვა თაობებში არსებული ღირებულებების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს ცოდნას კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში თაობების მამოძრავებელ ძალის, თაობებს შორის განსხვავებისა და მსგავსების შესახებ, მაგრამ იგი ასევე მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ იძლევა საზოგადოების განვითარების შესაძლო ტრაექტორიის, კონკრეტულად საქართველოსათვის კი მისი დემოკრატიულად განვითარების განჭვრეტის შესაძლებლობას.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა თაობების ღირებულებების შესწავლა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გამოწვევების იდენტიფიკაცია.

კვლევის ინსტრუმენტებად შერჩეულ იქნა ორი ღირებულებითი ორიენტაცია – ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი და მატერიალისტური/პოსტ-მატერიალისტური და მათთან დაკავშირებული ღირებულებები, ასევე ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება და რელიგია. ასევე შესწავლილ იქნა ამ ღირებულებებთან დაკავშირებული ფაქ-

ტორები, ისეთი როგორცაა ნდობა სხვების მიმართ, ოპტიმიზმი, ეკონომიკური კეთილდღეობა, თვით-შეფასება.. გამოყენებული იყო გამოკითხვის მეთოდი.

გამოკითხვა ჩატარდა 2011 წლის 21 ნოემბრიდან 2011 წლის 19 დეკემბრამდე თბილისში და საქართველოს ყველა რეგიონში. გამოკითხულ იქნა სამი თაობის, 18-24, 40-50 და 60-70 წლის, სულ 1058 ინდივიდი.

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი

ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმი ერთნაირად გამოიყენება, როგორც ინდივიდის ასევე საზოგადოების აღსაწერად. ინდივიდუალისტური კულტურა გულისხმობს ქვეყანაში იმ ინდივიდების დიდ რაოდენობას, ვისი მე-კონცეფცია სტაბილური პიროვნული თვისებებით არის განსაზღვრული და ნაკლებ არის დამოკიდებული სხვებზე. კოლექტიური კულტურის წევრთა „მე კონცეფცია“ კი უფრო მეტად როლებითა და ჯგუფებისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება.

ცალსახად გამოიკვეთა თაობათა შორის განსხვავება. ასაკთან ერთად მატულობს კოლექტივისტური ორიენტაცია, მაგრამ მას არ სდევს ინდივიდუალისტური ორიენტაციის კლება. უფროსი თაობის ადამიანები ასევე უფრო მეტ ინდივიდუალისტურ ორიენტაციას ამჟღავნებენ ინდივიდუალიზმის ორი ქვეშეკალიდან, ერთში – „საკუთარ თავზე დაყრდნობა“, რაც შეიძლება იყოს, ან ასაკისა და კულტურის ურთიერთქმედების შედეგი – საქართველოში უფრო გვიან ხდება ოჯახისგან რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა, ან/და წარმოადგენდეს კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმისაკენ გადანაცვლების პროცესის ნიშანს.

თაობათა შორის განსხვავება ასევე აღინიშნება კოლექტივიზმთან დაკავშირებულ ღირებულებებში. ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის ისე გაზრდა, რომ იყოს დამჯერი, უფრო ღირებულია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც, ახალგაზრდა თაობა ხაზს უს-

ვავს იმის მნიშვნელობას, რომ ადამიანი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული.

### *მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები*

მოდერნიზაციის თეორიის თანახმად, რომელსაც მნიშვნელოვნად ეყრდნობა მატერიალისტურ და პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებათა კონცეფცია, მოდერნიზაციას თან ახლავს ეკონომიკური ეფექტურობის ზრდა, ბიუროკრატიის და მეცნიერების განვითარება. პოსტ-მოდერნიზმი, თუმცა არ უარყოფს ამ ღირებულებებს, მაგრამ პრიორიტეტს თვით-გამოხატვას, არჩევანის თავისუფლებას და ინდივიდუალურ კეთილდღეობას ანიჭებს.

- გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი შერეულ – ერთ მატერიალისტურ, უფრო ხშირად „ქვეყანაში წესრიგის დაცვას“ და ერთ პოსტ-მატერიალისტურ, უფრო ხშირად „სიტყვის თავისუფლებას“ ანიჭებს უპირატესობას. შერეული და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების წილი უფრო მაღალია ახალგაზრდა თაობაში.
- დამოკიდებულება დემოკრატიისადმი, როგორც მმართველობის ფორმისადმი, ისევე როგორც მისი ისეთი კომპონენტებისადმი, როგორიცაა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და კანონის წინაშე თანასწორობა საყოველთაოდ დადებითია.
- ინტერესი პოლიტიკის მიმართ ყველაზე დაბალი ახალგაზრდებთან, ხოლო ყველაზე მაღალი უფროსი თაობის წარმომადგენლებთან არის.
- გენდერული თანასწორობა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა უფრო მაღალია ახალგაზრდებთან. გამონაკლის წარმოადგენს შემწყნარებლობა სხვა რელი-

- გის წარმომადგენელთა მიმართ, რასაც ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები ამჟღავნებენ.
- ნდობა სხვების მიმართ, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში გაწევრიანების დონე და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენის ღირებულება ძალზე დაბალია სამივე თაობაში.
  - განათლება, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად დემოკრატიის განვითარების რესურს წარმოადგენს, საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სარგებლობს კომპიუტერით და მათი წილი ყველაზე დიდი ახალგაზრდა თაობაშია.
  - ახალგაზრდები, სხვა თაობებთან შედარებით უფრო დადებითად აფასებენ საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობას და მეტ ეკონომიკურ ოპტიმიზმს იჩენენ. ახალგაზრდების შემოსავალი უფრო მეტად არის დამოკიდებული კერძო ბიზნესზე, ხოლო უფროსი თაობის სახელმწიფო წყაროებზე.

### რელიგია

რელიგიის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

- რელიგია უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის. ის მათთვის უფრო მეტად წარმოადგენს თვითიდენტიფიკაციის საფუძველს.
- რელიგია ახალგაზრდებისათვის უფრო მეტად არის სოციალური აქტიურობის არეალი – უფრო მეტი ახალგაზრდა არის მრევლის წევრი.
- ახალგაზრდები უფროს თაობების წარმომადგენლებზე ნაკლებ ტოლერანტული არიან სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ.



## სხვა ღირებულებები

- ჯანმრთელობა, ოჯახი და სახლი საყოველთაო ღირებულებებს წარმოადგენს.
- ახალგაზრდები უფროს თაობაზე მეტად აფასებენ თავისუფალ დროს, მეგობრებს, რელიგიას, სამსახურს და განათლებას, უფროსი თაობა კი პოლიტიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას.
- ახალგაზრდა თაობა უფროს თაობებზე უფრო მეტად გამოხატავს ცხოვრებით კმაყოფილებას, საკუთარ თავში რწმენას, იგი უფრო ბედნიერია და უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი.

შედეგები ცალსახად მიუთითებენ ღირებულებათა უდიდეს ნაწილში თაობათა შორის არსებულ განსხვავებაზე. იგი უფრო ხშირად ხაზოვანია – შეფასებები იზრდება ან მცირდება ასაკთან ერთად, ისე რომ უკიდურესი შეფასებები უფრო ახალგაზრდებისა და უფროსი თაობებისათვის არის დამახასიათებელი. ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის და ასევე მთელ რიგ სხვა ღირებულებებთან მიმართებაში, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა პოზიციები ბევრად უფრო ახლოა ერთმანეთთან, ვიდრე მათი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან.

ცვლილება სხვადასხვა ღირებულებებთან მიმართებაში ერთნაირი ოდენობის არ არის. იგი უფრო გამოკვეთილია ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის, ვიდრე მატერიალიზმი/პოსტ-მატერიალიზმის შემთხვევაში. ღირებულებათა ცვლილება თან სდევს სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ტრანსფორმაცია ჯერაც მიმდინარეობს, ასე რომ მოსალოდნელია ღირებულებათა შემდგომი ცვლა. ღირებულებითი ორიენტაციები – ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი და მატერიალიზმი/პოსტ-მატერიალიზმი თაობებში იცვლება სხვა, თეორიის მიხედვით მათთან დაკავშირებულ ღირებულებებთან ერთად.

მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის მიმართ დადებითია, ხაზგასმულია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა. იგი ბევრად უფრო მეტად ღირებულად არის შეფა-

სებული ვიდრე გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა, მეორე პოსტ-მატერიალისტური ღირებულება. იგი დიდად არ ფასობს და ნაკლებად ხორციელდება. მონაწილეობის სიმცირე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის დემოკრატიის განვითარებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ღირებულების ცვლილების პროცესი ახალგაზრდებში, რაც გამოიხატება კოლექტივისტური ორიენტაციის შემცირებაში და ნაკლები ოდენობით პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებების ზრდაში. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ცვლილება ასახავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს. სხვებისადმი ნდობის დაბალი დონე, მოსახლეობაში ნაკლები მზაობა თავისთავზე აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარებაზე და ნებაყოფლობით ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის სიმცირე დემოკრატიის განვითარების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამავდროულად მოსახლეობაში განათლების დიდი რესურსის არსებობა, გლობალიზაცია, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მედიის მეშვეობით ახდენს ზემოქმედებას ადამიანებზე, ჩანს გარკვეული ოდენობით ახერხებს ეკონომიკური სიღუხჭირის ეფექტის კომპენსაციას და ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას.

## 1. შესავალი

ადამიანის ღირებულებები მეტწილად ისტორიული დროით, კულტურით, სასიცოცხლო ციკლითა და პიროვნული მახასიათებლებით არის განსაზღვრული. სოციალურ, პოლიტიკურ ან ეკონომიკური გარემოს მკვეთრი შეცვლა ჩვეულებრივ კითხვის ქვეშ აყენებს არსებულ ღირებულებებს და დასაბამს აძლევს მათ შეცვლას. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა მკვეთრად შეცვალეს როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური და ეკონომიკური გარემო. ერთი ფორმაცია – კომუნისტი შეიცვალა კაპიტალიზმით, ქვეყნის საგარეო ორიენტაცია რუსეთზე, დასავლეთზე ორიენტაციამ შეცვალა, საბჭოთა კავშირის რღვევით გამოწვეულმა წარმოებების დახურვამ ბევრს უკიდურესი სიღარიბე მოუტანა, ახალმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა მოსახლეობის მცირე ნაწილი კი ძალზე გაამდიდრა, შედეგად არნახული ოდენობით გაიზარდა უფსკრული ღარიბებსა და მდიდრებს შორის. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სწრაფმა ზრდამ, ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ გაარღვიეს ეროვნული საზღვრები და ხელი შეუწყო ნაკლებად ტრადიციული ღირებულებების დამკვიდრებას.

ამ ყველაფერს შეუძლებელია მოსახლეობაში არ გამოეწვია ღირებულებების ცვლის პროცესის დაწყება და თუ ეს ასეა, იგი უფრო გამოკვეთილი ახალგაზრდებში უნდა იყოს, თაობაში, რომელიც განსხვავებულ პირობებში გაიზარდა.

ღირებულებები ჩვეულებრივ მოიცავენ ინდივიდებისა და საზოგადოების მისწრაფებებს. ისინი ეხება სასურველ, ღრმად გამჯდარ სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მომავალ და ამართლებენ წარსულ მოქმედებებს (Braithwaite & Scott, 1991). ღირებულებების ცნება ძნელად ექვემდებარება ოპერაციონალიზაციას, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ფაქტიურად ვერ ეტევა რაიმე ერთი განსაზღვრების ფარგლებში, მაგ. ყველა ღირებულება არ ჯდება სასურველის ცნებაში, რადგან ღირებულებათა მთელი რიგი ეხება ადამიანის ბუნების შესა-

ხებ არსებულ ეგზისტენციალურ მრწამსებს, ასევე მათ შორის არსებულ, და მათსა და სამყაროს შორის არსებულ კავშირებს. ამასთან ღირებულებები ერთნაირად ეხება რეალურ ურთიერთქმედებას და იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთქმედება; ღირებულებანი შეიძლება იყოს ძალზე ზოგადი ან ძალზე აბსტრაქტული.

ღირებულებების გაზომვის პირველ წარმატებულ მცდელობად მიიჩნევენ როკიჩის მიერ შექმნილ ინსტრუმენტს (Rokeach, 1973). როკიჩი დაეყრდნო ღირებულებების, როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური მოვლენის გაგებას და ისინი განსაზღვრა, როგორც ზოგადი მრწამსები, რომლებსაც აქვთ, როგორც მოტივაციური, ასევე შეფასებით, პრესკრიპტული და პროსკრიპტული ფუნქცია და რომლებიც განსაზღვრავენ ქცევებსა და ატიტუდებს. როკიჩმა გამოყო ინსტრუმენტული ღირებულებები, რომლებც გარკვეული მიზნის მიღწვას ემსახურებიან, ტერმინალური ღირებულებებისაგან, რომლებიც თავისთავად ღირებულნი არიან. მან ასევე მიუთითა ღირებულებათა იერარქიულ ხასიათზე, ხაზი გაუსვა უფრო ცენტრალურ და მეტად მნიშვნელოვან და ნაკლებ მნიშვნელოვან ღირებულებების არსებობას და შესაბამისად მიუთითა მათი რანჟირების შესაძლებლობაზე.

მოგვიანებით შვარცმა (Shwartz & Bilsky, 1987 ) ასევე შექმნა ღირებულებების საზომი. შვარცი ღირებულებებს განსაზღვრავს, როგორც ტრანსსიტუაციურ მიზნებს, რომლებიც ადამიანის ცხოვრების მიმართველ პრინციპს წარმოადგენენ. შვარცის თანახმად ღირებულებები ემყარება ინდივიდის ბიოლოგიურ საჭიროებებს, კოორდინირებული სოციალურ ურთიერთქმედების აუცილებლობას და ჯგუფების გადარჩენისა და კეთილდღეობის მიზნების დაკმაყოფილებას და ამიტომ ყველა კულტურას მიესადაგება. შესაბამისად, შვარცის ინსტრუმენტი, რომელიც ღირებულებათა თორმეტ სფეროს ზომავს, ფართოდ არის გამოყენებული კულტურათშორის კვლევებში.

ჰოფსტიდმა (Hofstede, 1980) სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო კორპორაციის ორგანიზაციული კვლევის შედეგად გამოყო ღირებულებების ოთხი განზომილება – „კაცობრიობის ძირითადი პრობლემები, რომლებთანაც ყველა საზოგადოებას უწევს მორგება“. ეს განზომილებებია: ძალაუფლების დისტანცია – სოციალური უთანასწორობა; გაურკვეველობისგან თავისდალწევა – ის, თუ რა მცდელობებს მიმართავს საზოგადოება მომავლის გაურკვეველობისგან თავის დასაღწევად; ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმის წინააღმდეგ – ინდივიდის ჯგუფზე დამოკიდებულება; და მასკულინობა ფემინინობის წინააღმდეგ, ჯგუფში მამაკაცური, ასერტიული მიზნების ქონა ქალური, ზრუნვაზე ორიენტირებული მიზნების წინააღმდეგ.

ჰოფსტიდის ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის განზომილება ასახულია თრიანდისისა და მისი კოლეგების (Triandis, et al., 1986) მიერ შექმნილი ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის შკალაში.

ეროვნული მიზნების დონეზე ინგლეჰარტი (Inglehart, 1977) გამოყოფს სასურველი სოციალური ღირებულებების ორ განზომილებას – მატერიალისტურ ღირებულებებს, რომლებიც ემსახურებიან მოქალაქეთა ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და პოსტ-მატერიალისტურს, რომლებიც სოციალურ და გამონატვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში მოხდება მატერიალისტური ღირებულებების დაკმაყოფილება, საზოგადოება განვითარების შემდგომ ეტაპზე გადადის, რომლისთვისაც პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები ხდება წამყვანი. ეს ჩვეულებრივ პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხდება და სოციალურ და ეკონომიკური ცვლილებების თანხლები პროცესია.

ღირებულებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერთნაირად ეხება, როგორც ინდივიდებს, ასევე მთლიანად საზოგადოებას. ღირებულებების საზომების ავტორები გამოდიან დაშვებიდან, რომ საზოგადოებაში არსებული ღირებულებების გაგება შე-

საძლებელია ინდივიდების მიერ გამოხატული ღირებულებების აგრეგაციის მეშვეობით (Braithwaite & Scott, 1991).

ღირებულებების დასწავლა სიცოცხლის ადრეული წლებიდან, სოციალიზაციის პროცესის მეშვეობით ხდება. ღირებულებები პიროვნების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენენ და იერარქიულად არიან განლაგებული. ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობენ უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებები და ასევე უფრო ცენტრალური, რომლებიც მრავალ ღირებულებებთან არიან დაკავშირებული და ნაკლებ ცენტრალური და მნიშვნელოვანი ღირებულებები. ღირებულებები შეიძლება განხილულ იქნენ, როგორც ცალკე აღებული, მაგრამ ასევე როგორც გარკვეული ჯგუფის ნაწილი. ღირებულებების ცვლა მიმდინარეობს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ, თუმცა ღირებულებები ძნელად ექვემდებარებიან შეცვლას. ამდენად ცვლილებები არ არის უცაბედი, მათ საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდებათ. ეს უფრო მეტად ითქმის უფრო ცენტრალურ, და უფრო ადრეულ ასაკში ფორმირებულ, უფრო მნიშვნელოვან ღირებულებებზე, ვიდრე მოგვიანებით ფორმირებულ, ზედაპირულ ღირებულებებზე. ცენტრალური ღირებულებების შეცვლის სირთულე იმით არის გაპირობებული, რომ ერთის მხრივ, კოგნიტური ორგანიზაციის ცენტრალური ელემენტების ცვლილება დიდ ძალისხმევას მოითხოვს და მეორეს მხრივ ცენტრალურ მრწამსებზე უარის თქმა გაურკვეველობას და შფოთს იწვევს. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად შეცვლის პირობებში ცენტრალური ღირებულებების შეცვლაც ხდება, თუმცა უფრო მეტად ახალგაზრდა თაობაში, ვიდრე უკვე სოციალიზირებულ ადამიანებში (Inglehart, 1997).

სხვადასხვა თაობებში არსებული ღირებულებების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან გვაძლევს ცოდნას კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში სხვადასხვა თაობების მამოძრავებელ ძალის, თაობებს შორის განსხვავებისა და მსგავსების შესახებ, მაგრამ იგი ასე-

ვე მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა საზოგადოების განვითარების შესაძლო ტრაექტორიის განჭვრეტის (Inglehart, 1997), კონკრეტულად საქართველოსათვის კი მისი დემოკრატიულად განვითარების გამოწვევების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური სისტემის დახასიათებისას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებისა და რეიტინგების მიხედვით იგი „ჰიბრიდულ რეჟიმად“, „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყანად არის შეფასებული (მაგ. Freedom in the world, 2011), დემოკრატიის დეფიციტზე მიუთითებენ ასევე ადგილობრივი ექსპერტები (ნოღია, 2012).

## 2. კვლევის საბანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანია სხვადასხვა თაობების ღირებულებების აღწერა, ღირებულებებში თაობათა შორის განსხვავების დადგენა და ქვეყნის დემოკრატიული გამოწვევების იდენტიფიკაცია.

ღირებულებების არსებული საზომებიდან, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული საზომები ზემოთ მიმოვიხილეთ, შერჩეულ იქნა ღირებულებათა ორი ორიენტაციის: ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის და მატერიალისტურ და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებათა ორიენტაციის საზომები და მათთან დაკავშირებული სხვა ღირებულებები. ასევე გაზომილ იქნა მთელი რიგ ცალკე აღებული ღირებულებები და მათი კონსტელაციები, ისეთები როგორცაა რელიგია, ჯანმრთელობა, განათლება, აღზრდასთან დაკავშირებული ღირებულებები. ღირებულებებთან ერთად გაზომილ იქნა ის ფაქტორებიც, რომლებსაც ჩვეულებრივ უკავშირებენ ღირებულებებს, ისეთები როგორცაა, ნდობა სხვების მიმართ, ოპტიმიზმი, ეკონომიკური კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება, თვით-შეფასება.

სხვადასხვა თაობაში არსებული ღირებულებების და მათი სხვადასხვა პიროვნულ თვისებებთან და მდგომარეობებთან კავშირის დასადგენად ჩატარებულ იქნა გამოკითხვა.

გამოკითხვა ჩატარდა 2011 წლის 21 ნოემბრიდან 19 დეკემბერამდე საქართველოს ყველა რეგიონში. იგი რეპრეზენტატიული იყო. გამოყენებული იყო პროპორციული სტრატეგიკაციის მეთოდი – ყოველი რეგიონში გამოკითხულთა რაოდენობა შეესაბამებოდა რეგიონის მოსახლეობის წილს საქართველოს მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში. მოცემული კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოკითხულ იქნა სამი თაობის ადამიანები: 18-24, 40-50 და 60-70 წლის. ინტერვიუერი შედიოდა დასახლებაში საწყის წერტილად წინასწარ შერჩეული ადგილიდან ყოველ მეხუთე სახლში და გამოკითხვას ატარებდა კვოთით განსაზღვრულ ასაკისა და სქესის რესპონდენტთან.



გამოკითხვა ტარდებოდა პირისპირ ინტერვიუს სახით იმ პირებთან ვინც ფლობდა ქართულ ენას. გამოკითხვის ხანგრძლიობა 30-დან 45 წუთამდე ცვალებადობდა.

სულ გამოკითხული იყო 1058 ადამიანი (45.3 პროცენტი კაცი და 54.7 პროცენტი ქალი). ახალგაზრდა თაობა, ანუ პირველი ასაკობრივი ჯგუფი (18-24 წლის ადამიანები) შეადგენდა გამოკითხულთა 35.0, საშუალო თაობა, ანუ მეორე ასაკობრივი ჯგუფი (40-50 წლის ადამიანები) 40.1, ხოლო უფროსი თაობა, ანუ მესამე ასაკობრივი ჯგუფი (60-70 წლის ადამიანები) გამოკითხულთა 24.9 პროცენტს.

გამოკითხვა ჩატარდა კითხვარის მეშვეობით, რომელიც 102 კითხვისაგან შედგებოდა და ეხებოდა ღირებულებებს, რესპონდენტის ეკონომიკურ მდგომარეობას, ურთიერთობებს, დემოკრატიას, თანასწორობას, რელიგიურ ქცევასა და მრწამსებს, პიროვნულ მახასიათებლებსა და მდგომარეობებს. იგი, სპეციალურად შედგენილი კითხვების გარდა, ასევე შეიცავდა მთელ რიგ სტანდარტულ ინსტრუმენტებს – ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის შკალას, მატერიალისტურ და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების საკვლევ ინსტრუმენტს, ბავშვისათვის მნიშვნელოვანი თვისებების ნუსხას, მრავალ საერთაშორისო კვლევებში გამოყენებულ კითხვებს, რომლებიც შეეხებოდა ნდობას სხვების მიმართ, ოპტიმიზმს, ცხოვრებით კმაყოფილებას, თვით-შეფასებას. ასევე გამოყენებული იყო საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში „სოციალური ცვლილების ბარომეტრი“ (სუმბაძე., თარხან-მოურავი, 2004., სუმბაძე 2006, 2009, 2009ა) დასმული კითხვები.

**ცხრილი 1**

**რესპონდენტთა განაწილება**

	სულ	%	ქალაქი												სოფელი					
			18-24 წელი			40-50 წელი			60-70 წელი			18-24 წელი			40-50 წელი			60-70 წელი		
			კაცი	ქალი	ჯამი	კაცი	ქალი	ჯამი	კაცი	ქალი	ჯამი	კაცი	ქალი	ჯამი	კაცი	ქალი	ჯამი	კაცი	ქალი	ჯამი
1	თბილისი	275	26.0	47	47	45	62	30	44											
2	აჭარა	92	8.7	7	8	8	8	7	6											
3	გურია	34	3.1																	
4	რაჭა-ლეჩხუმი	12	1.0																	
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	114	10.7	11	10	11	13	7	9											
6	იმერეთი	170	15.8	12	12	13	16	7	10											
7	კახეთი	98	9.1	8	6	8	10	4	4											
8	მცხეთა-მთიანეთი	26	2.4																	
9	სამცხე-ჯავახეთი	54	4.8	2	2	2	2	1	1											
10	ქვემო ქართლი	107	11.4	9	8	9	10	0	6											
11	შიდა ქართლი	76	7.0	5	5	6	7	3	4											
	<b>სულ</b>	<b>1058</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>98</b>	<b>102</b>	<b>128</b>	<b>59</b>	<b>84</b>	<b>85</b>	<b>86</b>	<b>79</b>	<b>115</b>	<b>53</b>	<b>68</b>					

### 3. ბამოკითხვის შედეგები

#### 3.1. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი

##### 3.1.1. მოკლე დახასიათება

ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებით ორიენტაციას წარმოადგენს, რომელიც როგორც საზოგადოების, ასევე პიროვნების დახასიათების საშუალებას იძლევა. იგი სულ უფრო ხშირად გამოიყენება კულტურებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავების ასახსნელად (Oyserman, Coon & Kemmelmeier, 2002).

ინდივიდუალისტური კულტურა გულისხმობს ქვეყანაში ისეთი ადამიანების სიმრავლეს, რომელთა მე-კონცეფცია ანუ საკუთარ თავზე არსებული შეხედულებები უფრო მდგრადი, ინდივიდუალური, სხვებზე ნაკლებად დამოკიდებული პიროვნული თვისებებით განისაზღვრება, ხოლო კოლექტივისტური კულტურის მოსახლეობის მე-კონცეფცია უფრო მეტად როლებით და ჯგუფებისადმი მიკუთვნებით განისაზღვრება. ამდენად განიხილავენ ინდივიდუალისტური კულტურისათვის დამახასიათებელ „დამოუკიდებელ მე-კონცეფციას“, რომელიც აღქმულია, როგორც სტაბილური და გამოცალკევებული, და კოლექტივისტური კულტურისათვის დამახასიათებელ „ერთიერთდამოკიდებულ მე-კონცეფციას“, რომელიც ადამიანის დიდი სოციალური ჯგუფის წევრობით განისაზღვრება (Markus & Kitayama, 1991). კოლექტივისტური კულტურის წევრები ჯგუფებს განიხილავენ უფრო ქმედითად, ვიდრე ამას ინდივიდუალისტური კულტურის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მეტ ქმედითობას ინდივიდს მიაწერენ. ინდივიდუალისტური კულტურის მატარებლები მეტად იყენებენ პირველად, ხოლო კოლექტივისტური კულტურის მატარებლები კი მეორად კონტროლს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემის გადაჭრისას ინდივიდუალისტური საზოგადოების წევრები ძალისხმევას პრობლემის წყაროზე, ხოლო კოლექტივისტური კულტურის წევრები

კი პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების შეცვლაზე მიმართავენ. კოლექტივისტური კულტურის მატარებლები უფრო მეტ მზაობას გამოხატავენ საკუთარი ქცევა მოარგონ იმ ჯგუფის მიზნებს, რომელსაც ეკუთვნიან, ან რომლის წევრობისაკენაც მიისწრაფიან. მიკუთვნების, საკუთარი თავის ჯგუფის ნაწილად აღქმის და გამოცალკევების, საკუთარი თავის სხვებისგან განსხვავებულად აღქმის ამ ორი საპირისპირო მოტივაციის არსებობა ყველასათვის არის დამახასიათებელი, განსხვავება მათ ფარდებით ოდენობაშია. კოლექტივისტურ კულტურის მატარებლებთან უფრო მეტად არის გამოხატული მიკუთვნების, ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურის მატარებელთან კი გამოცალკევების, საკუთარი უნიკალობის განმტკიცების მოტივაცია. „დამოუკიდებელი მე-კონცეფციის“ მქონე ადამიანები უფრო ადვილად ამყარებენ და წყვეტენ ურთიერთობებს მაშინ, როდესაც „ურთიერთდამოკიდებული მე-კონცეფციის მქონე ადამიანების“, ანუ კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლების ურთიერთობანი უფრო სტაბილური ხასიათისაა (Heine, 2010).

კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ ჯგუფს, რომელიც უფრო ხშირად ესმით, როგორც საერთო ბედის მქონე ადამიანების ერთობა. პრეისტორიულ დროს ჯგუფის წევრობა გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რადგან განაპირობებდა საკვების მოპოვების შესაძლებლობას. კულტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელობა ჯერ ტომმა, შემდგომ ისტორიულ ეტაპებზე კი სამუშაო ჯგუფმა და ერმა მოიპოვა. კოლექტივისტურ კულტურაში მკვეთრია საკუთარ და სხვა ჯგუფს შორის საზღვარი, ასევე დიდია საკუთარი ჯგუფის მნიშვნელობა. ამასთან, იგი უფრო ჰომოგენურად აღიქმება, მაშინ როდესაც ინდივიდუალისტურ კულტურაში საკუთარი და სხვა ჯგუფის წევრების მიმართ დამოკიდებულება ერთმანეთისგან ნაკლებ განსხვავდება. ჯგუფისა და ინდივიდის მიზნებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ინდივიდუალისტურ

კულტურაში უპირატესობას ინდივიდუალურ, ხოლო კოლექტივისტურ კულტურებში ჯგუფის მიზნებს ანიჭებენ. კოლექტივისტურ კულტურაში სოციალური ქცევის რეგულატორის ფუნქციას უფრო მეტად ნორმები, ხოლო ინდივიდუალისტურ კულტურაში ინდივიდუალური დამოკიდებულებები, ატიტუდები წარმოადგენენ. კოლექტივისტურ კულტურაში, ინდივიდუალისტურ კულტურასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია იერარქია, ჰარმონია, ღირსების შენარჩუნება, ასევე უფრო მოქმედია ნორმა, რომლის მიხედვითაც ჯგუფის შიგნით არსებული უთანხმოება სხვებისთვის არ უნდა იქნეს გამჟღავნებული. საკუთარი ჯგუფის მიღწევები და ჯგუფის წევრებს შორის არსებული დამოკიდებულება უფრო მნიშვნელოვანია კოლექტივისტური კულტურისათვის, ხოლო ინდივიდუალისტურისათვის კი – საკუთარი ბედი, პირადი მიღწევა და ჯგუფისგან დამოუკიდებლობა. თვით საკუთარი ჯგუფის გაგებაც განსხვავებულია, ინდივიდუალისტურ კულტურებში იგი ბევრად უფრო ვიწროა და მხოლოდ ძალზე ახლო ნათესავეებს და ერთი-ორ უახლოეს მეგობარს მოიცავს. კონფლიქტის დროს კოლექტივისტურ ქვეყნებში ვერტიკალურ ურთიერთობებს (მაგ. მშობელი-შვილი) ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე (მაგ. მეუღლეები) მეტი უპირატესობა ენიჭებათ, ინდივიდუალისტურში კი – პირიქით.

ინდივიდუალისტურ კულტურებში უფრო მეტია ჯგუფების რაოდენობა და შესაბამისად უფრო მეტია არჩევანი, ადამიანები უფრო მეტი ჯგუფების წევრები არიან, ხშირად ტოვებენ ჯგუფებს, გადადიან სხვაში, ან სულაც ქმნიან ახალს. ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ კოლექტივისტურ კულტურაში უფრო მეტი სიახლოვეა მეგობრებთან და ნაკლები სხვა ჯგუფის წევრებთან, მაშინ როდესაც ინდივიდუალისტურ კულტურაში საკუთარი და სხვა ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ სიახლოვე მსგავსი ოდენობისაა. იმის გამო, რომ ინდივიდუალისტური კულტურის მატარებლებს უხდებათ მრავალი ჯგუფის წევრობა, მათ კარგად აქვთ განვითარებული ზედა-

პირული, მაგრამ ნაკლებად აქვთ განვითარებული ახლო ურთიერთობების წარმართვის უნარი (Triandis, 1990).

მიღწევა, სიამოვნება და შეჯიბრი ინდივიდუალისტური კულტურის მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენენ, მაშინ როდესაც კოლექტიურ კულტურებში მეტად ფასობს ოჯახისადმი ერთგულება, უსაფრთხოება და კონფორმიზმი.

ბავშვის აღზრდისას ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი ყურადღება ექცევა იმას, რომ ადამიანი არის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, ხოლო კოლექტივისტურში კი იმას, რომ ადამიანი არის დამჯერი, პასუხისმგებელი და მზად არის ჯგუფის მიზნების განსახორციელებლად უარი თქვას საკუთარ მიზნებზე.

ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა ხელს უწყობს კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმისაკენ გადანაცვლებას (Hofstede, 1980). სიმდიდრე ზრდის პიროვნების ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ ამცირებს ჯგუფზე დამოკიდებულების საჭიროებას. ეკონომიკური კეთილდღეობა ასევე დაკავშირებულია ოჯახის მცირე ზომასთან, ერთვილიან ოჯახებთან, რაც თავის მხრივ ასეთ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებში ინდივიდუალისტური ორიენტაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მედიისადმი ექსპონირების ზრდას ასევე შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ინდივიდუალიზმისაკენ სვლაში, რადგან ფილმების უმრავლესობა ინდივიდუალისტურ კულტურებშია შექმნილი და შესაბამისად მათ ღირებულებებს არეკლავს. ასევე მნიშვნელოვანია მობილობა, როგორც სოციალური – მაღალი სოციო-ეკონომიკური კლასის წარმომადგენლები მეტად ამულღანებენ ინდივიდუალისტურ ორიენტაციას, ასევე გეოგრაფიული – სოფლიდან ქალაქში მიგრაცია, ეკონომიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში დროებითი მიგრაცია.

კოლექტივიზმს ძალზე განსხვავებული ფორმა შეიძლება ქონდეს სხვადასხვა ქვეყანაში.

### **3.1.2. ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული ღირებულებები**

კითხვარში გამოყენებული ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის შკალა (Triandis, et al, 1986) წარმოადგენს საზომს, რომელიც გამოიყენება, როგორც კულტურებსა თუ ქვეკულტურებს, ასევე ინდივიდებს შორის განსხვავების დასადგენად. შკალის ავტორები ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს არ განიხილავენ, როგორც ერთი განზომილების ორ პოლუსს, არამედ მას ორი დამოუკიდებელი განზომილების მქონე კონსტრუქტად მიიჩნევენ.

ინსტრუმენტი ოთხი ქვეშკალისაგან შედგება, რომლიდანაც ორი – საკუთართავზე დაყრდნობა და საკუთარი ჯგუფისგან დისტანცირება ინდივიდუალიზმს და ორი – ოჯახისადმი ერთგულება და ერთმანეთზე დამოკიდებულება, კოლექტივიზმს ზომავს (Triandis., Cusker., & Hui, 1990). ავტორთა მოსაზრებით კულტურის დონეზე კოლექტივიზმი ყველაზე კარგად ოჯახისადმი ერთგულების, ხოლო ინდივიდუალიზმი საკუთარ ჯგუფისგან დისტანცირების ქვეშკალებშია ასახული.

კვლევაში თაობებს შორის გამოკვეთილი განსხვავება აღმოჩნდა კოლექტივიზმში, რომლის საშუალო მაჩვენებელი ასაკთან ერთად მკვეთრად მატულობს. შკალის ორ განზომილებიანი ხასიათი ჩვენს მონაცემებშიც დადასტურდა. ასაკთან ერთად კოლექტივიზმის მაჩვენებლის ზრდასთან აღინიშნა არა საკუთარ თავზე დაყრდნობის შკალის მაჩვენებლის შემცირება, რაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ერთგანზომილებიანად გაგების შემთხვევაში, არამედ მისი ასევე ზრდა. თაობებს შორის განსხვავება არ აღინიშნა ინდივიდუალიზმის მეორე ქვეშკალის – საკუთარ ჯგუფთან მანძილის შემთხვევაში. ეს მონაცემები გადაჭრით მეტყველებენ ახალგაზრდა თაობაში კოლექტივიზმის ღირებულებითი ორიენტაციის შემცირებაზე. ინდივიდუალიზმთან დაკავშირებით მონაცემები ცალსახად ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევიან. ახალგაზრდა თაობაში აღინიშნება საკუ-

თარ თავზე დაყრდნობის მაჩვენებლის სიმცირე, რაც შეიძლება ასახავდეს საქართველოს კულტურისათვის დამანასიათებელ ინფანტილიზმის დაძლევის დაგვიანებას და დაკავშირებული იყოს მხოლოდ ასაკთან და არა თაობასთან. ასევე შესაძლებელია იგი ასახავდეს საზოგადოებაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესს. ჩვენს კულტურაში შკალის გამოყენების პრეცედენტის არ არსებობა არ გვაძლევს ამგვარი დასკვნის დაბეჯითებით გაკეთების შესაძლებლობას.

## ცხრილი 2


ინდივიდუალიზმი – კოლექტივიზმის ქვეშკალების საშუალო მაჩვენებლები ასაკობრივ ჯგუფებში

ქვეშკალა	18-24 წელი	40-50 წელი	60-70 წელი	სულ	ჯუფებს შორის განსხვავება
	N=370	N=424	N=264	N=1058	
საკუთარ თავზე დაყრდნობა <i>M</i> <i>SD</i>	7.10 2.10	7.23 2.10	7.67 2.09	7.30 2.11	<i>Chi-Square</i> 5.99; <i>df</i> 2; <i>P</i> <.005
ოჯახისადმი ერთგულება <i>M</i> <i>SD</i>	1.49 .67	1.75 .52	1.87 .36	1.69 .57	<i>Chi-Square</i> 41.8; <i>df</i> 2; <i>P</i> <.001
ერთმანეთზე დამოკიდებულება <i>M</i> <i>SD</i>	3.19 1.16	3.46 1.16	3.77 .99	3.44 1.14	<i>Chi-Square</i> 21.17; <i>df</i> ; <i>P</i> <.001
საკუთარი ჯგუფისგან მანძილი <i>M</i> <i>SD</i>	1.09 1.08	.98 1.08	.94 1.06	1.01 1.07	არ არის მნიშვნ.

ოჯახისადმი ერთგულებისა და ერთმანეთზე დამოკიდებულების ქვეშკალების შეჯამებით გამოთვლილ იქნა კოლექტივიზმის შკალის მაჩვენებელი, რომელიც 0 – დან 7 – მდე ცვალებადობს. ანალიზის გასამარტივებლად რესპონდენტები



დაჯგუფებულ იქნენ დაბალი (მაჩვენებელი 0-დან 5-ის ჩათვლით) და მაღალი (მაჩვენებელი 6-დან 7-ის ჩათვლით) კოლექტივიზმის მაჩვენებლის მქონე პირებად. შედეგებმა ცხადყოფს, რომ კოლექტივიზმი ხაზოვანად მატულობს ასაკთან ერთად და თაობებს შორის ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Chi-Square 44.90; df 2;  $p < .001$ ). ამდენად, ჩვენ უფლება გვქვია განვიხილოთ საკითხები, რომლებიც კოლექტივიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც თაობებს შორის არსებული განსხვავებები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ თაობაში გარკვეულ ნაწილს საპირისპირო შედეგს აჩვენებს. ასე მაგ. კოლექტივიზმის მაღალი მაჩვენებელი აქვს 18-24 წლის რესპონდენტების 32.7 პროცენტს და კოლექტივიზმის დაბალი მაჩვენებელი 60-70 წლის რესპონდენტების 40.9 პროცენტს.




ნახ. 1

კოლექტივიზმის დაბალი მაჩვენებლის წილი სხვადასხვა თაობის რესპონდენტებთან

პიროვნული თვისებებიდან საერთო ჯამში, ყველა რესპონდენტის მონაცემების მიხედვით ადამიანის ყველაზე სასურველ თვისებებად მიჩნეულია მეგობრებისადმი ერთგულება, პატი-

ვისცემით სარგებლობა და სხვებისათვის დახმარების გაწევა. კოლექტივისტური ორიენტაცია, როგორც ეს ზემოთ ავლნიშნეთ ხაზს უსვამს ისეთი თვისებების მნიშვნელობას, როგორიცაა ტრადიციებისადმი ერთგულება, საზოგადოებაში მოწონებით სარგებლობა და თავმდაბლობა




ნახ. 2

ადამიანის სასურველი თვისებების რანჟირება

ასაკთან და შესაბამისად კოლექტივიზმთან ერთად მნიშვნელოვანი ოდენობით იზრდება იმის მნიშვნელობა, რომ

ადამიანი იცავდეს ტრადიციებს, იქცეოდეს არსებული წესების მიხედვით, იყოს თავმდაბალი, სარგებლობდეს პატივისცემით, იყოს მდიდარი. კლებულობს იმის ღირებულება, რომ პიროვნება კარგად ატარებდეს დროს, იყოს რისკისა და თავგადასავლების მოყვარული, ჰქონდეს ახალი იდეები და იყოს შემოქმედებითი. ასაკობრივი განსხვავება არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ისეთ თვისებებში, როგორცაა იყოს მეგობრის ერთგული, წარმატებული, მორწმუნე და ეხმარებოდეს სხვებს.

კოლექტივიზმის და ინდივიდუალიზმის ღირებულებებთან არის დაკავშირებული თვისებები, რომლებიც ბავშვმა ოჯახში უნდა შეიძინოს. ყველაზე მნიშვნელოვან თვისებებად რესპონდენტები პასუხისმგებლობის გრძნობას, შრომისმოყვარეობას და მიზანსწრაფულობას მიიჩნევენ.



ნახ. 3

ბავშვის სასურველი თვისებების რანჟირება

ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, და შესაბამისად კოლექტივიზმის დაბალი მაჩვენებლის მქონე პირებს ბავშვისათვის უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისეთი თვისებების

შეძენა, რომლებიც დამოუკიდებლობასთან და მიზნის მიღწევასთან არის დაკავშირებული. ასე მაგალითად. ახალგაზრდა თაობის უფრო დიდ ნაწილს მიაჩნია მნიშვნელოვნად, რომ ბავშვი იყოს დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული. უფროსი ასაკის წარმომადგენლებს კი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ ბავშვი დამჯერი იყოს.

კოლექტივიზმი, მისი განსაზღვრებიდან გამომდინარე მჭიდროდ არის დაკავშირებული ოჯახის მნიშვნელობასთან. უდიდესი უმრავლესობს (88.7 პროცენტი) მხარს უჭერს ოჯახის ინსტიტუტს, თუმცა მცირე ნაწილი (5.9 პროცენტი) ფიქრობს, რომ ქორწინებამ დრო მოჭამა, ხოლო 5.4 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. პასუხის გაცემა უფრო მეტად (9.5 პროცენტი) გაუჭირდათ ახალგაზრდებს, ვიდრე საშუალო (4.0 პროცენტი) და უფროსი თაობის წარმომადგენლებს (1.9 პროცენტი, *Chi Square* 22.87; *df*.4;  $p < .001$ ). გამოკითხულთა აზრი თითქმის თანაბრად იყოფა იმის თაობაზე, უნდა გააჩინოს თუ არა ქალმა შვილი, თუ მას არ უნდა შემდგომში შვილის მამასთან ურთიერთობა (43.7 პროცენტი მომხრეა, ხოლო 43.3 პროცენტი წინააღმდეგი). ამასთან, შვილის გაჩენის მომხრე უფრო მეტად არიან (46.7 პროცენტი) ახალგაზრდა, ვიდრე საშუალო (42.3 პროცენტი) და უფროსი თაობის (41.6 პროცენტი) წარმომადგენლები (*Chi Square* 14.82; *df*.4;  $p < .005$ ).

კვლევამ დაადასტურა, რომ უფროსი თაობის ადამიანები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის შექიდულობას. მათ შორის უფრო დიდია იმათი წილი, ვინც ფიქრობს რომ ოჯახი ყოველდღე ერთად უნდა სადილობდეს (63.8 პროცენტი პირველ, 73.6 პროცენტი მეორე და 84.5 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 35.37; *df*.4;  $p < .001$ ), რომ ოჯახმა ერთად უნდა აღნიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი დღესასწაულები, როგორცაა ახალი წელი, შობა და დაბადების დღე (88.8 პროცენტი პირველ, 95.3 პროცენტი მეორე და 96.2 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, (*Chi Square* 20.74; *df*.4;  $p < .001$ ). დღესასწაულების ერთად აღნიშვნის სურვილი როგორც ჩანს რეალურად

ყოველთვის ვერ ხორციელდება, რადგან გამოკითხულთა ერთმა მესამედმა (30.3 პროცენტი) მიუთითა, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში მის ოჯახს არ აღუნიშნავს ჩამოთვლილი ათიდან, რომელიმე დღესასწაული. 39.2 პროცენტმა მიუთითა ერთ, 23.3 პროცენტმა ორ, 4.8 პროცენტმა სამი და 2.4 პროცენტმა ოთხიდან ექვსამდე დღესასწაულის აღნიშვნაზე. ყველაზე ხშირად დასახელებული იყო დაბადების დღე (45.7 პროცენტი), რელიგიური დღესასწაული (40.4 პროცენტი) და ბავშვის დაბადება (5.2 პროცენტი).

უმრავლესობა (95.3 პროცენტი) მიიჩნევს, რომ ადამიანმა უნდა გადასდოს გვერდზე ყველაფერი, იმისათვის რომ დაეხმაროს გასაჭირში მყოფ ოჯახის წევრს. 52.2 პროცენტის აზრით კი, ადამიანმა ყოველთვის უნდა დაიცვას ოჯახის ინტერესები, მაშინაც კი როდესაც იცის, რომ ოჯახი სწორედ არ მოიქცა. ამ ორ საკითხთან მიმართებაში თაობების შეხედულებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება, თუმცა განსხვავდება დამოკიდებულება ბავშვის აღზრდის მიმართ. ახალგაზრდები მეტ თავისუფლებას ანიჭებენ ბავშვს (*Chi-Square* 41.64; *df* 4;  $p < .001$ ) და მიაჩნიათ, რომ მას უნდა ჰქონდეს უფლება სიტყვა შეუბრუნოს მშობელს. ასე ფიქრობს ახალგაზრდების 33.8 პროცენტი, საშუალო თაობის წარმომადგენელთა 26.9 პროცენტი და უფროსი თაობის წარმომადგენელთა 14.4 პროცენტი. ასევე ახალგაზრდების ნაკლებ რაოდენობას (60.5 პროცენტი), საშუალო (65.6 პროცენტი) და უფროსი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით (76.4 პროცენტი) მიაჩნია, რომ დედამ ბავშვზე უკეთ იცის თუ ბავშვს რა სჭირდება (*Chi-Square* 48.89; *df* 4;  $p < .001$ ).

### **ძირითადი შედეგები:**

კვლევის შედეგად ცალსახად გამოიკვეთა თაობათა შორის განსხვავება ინდივიდუალისტურ – კოლექტივისტური ღირებულებით ორიენტაციაში. ასაკთან ერთად მატულობს კოლექტივისტური ორიენტაცია, მაგრამ მას არ სდევს ინდივიდუალისტური ორიენტაციის ასაკთან ერთად კლება. უფროსი თაობის ადამიანები ასევე უფრო მეტ ინდივიდუალისტურ ორიენტა-

ციას ამჟღავნებენ ინდივიდუალიზმის ორი ქვეშეკალიდან, ერთში – „საკუთარ თავზე დაყრდნობა“, რაც შეიძლება იყოს ასაკისა და კულტურის ურთიერთქმედების შედეგი – საქართველოში უფრო დიდ ასაკში ხდება ოჯახისგან რაეალური დამოუკიდებლობის მიღწევა, და/ან გარდამავალი ეტაპის ფაქტორი.

თაობათა შორის განსხვავება ასევე აღინიშნა კოლექტივიზმთან დაკავშირებულ ღირებულებებში. ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ბავშვის გაზრდა არსებული წესების პატივისცემით მნიშვნელოვნად უფრო ღირებული აღმოჩნდა უფროსი თაობის ადამიანებისათვის, მაშინ როდესაც ახალგაზრდა თაობამ ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის და მიზანსწრაფულობის მნიშვნელობას.

## **3.2. მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებითი ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული სხვა ღირებულებები**

### **3.2.1. მოკლე დახასიათება**

მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებითი ორიენტაციის საშუალებით ხშირად ხდება ქვეყნებისა და თაობათა შედარება. მოდერნიზაციის თეორიის მიხედვით, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებათა ორიენტაციის კონცეფცია (Inglehart, 1997), მოდერნიზაციას ახლავს ეკონომიკის, ბიუროკრატიისა და მეცნიერების განვითარება. პოსტ-მოდერნიზაცია, მართალია არ უარყოფს ამ ღირებულებებს, მაგრამ პრიორიტეტს თვით-გამოხატვას, არჩევანის თავისუფლებას და ინდივიდის კეთილდღეობას ანიჭებს. მოდერნიზაციის ეტაპზე მყოფ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ურბანიზაციის მაღალი დონე, ინდუსტრიალიზაცია, სპეციალიზაცია, მეცნიერული მიღწევების გამოყენება, ბიუროკრატიზაცია, კანონ – მორჩილება, მნიშვნელოვანი სოციალური მობილობა, განათლების მაღალი დონე, მატერიალური კეთილდღეობა და როლების სქესის მიხედვით სპეციალიზაციის მნიშვნელობის შემცირება. პოსტ-მოდერნულ სამყაროში კლებულობს ოჯახის როლი. თუ ისტორიულად ადრეულ პერიოდებში ოჯახი გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, პოსტ-მოდერნულ სამყაროში, სადაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს უსაფრთხოების ფუნქციას – პენსიის, ჯანდაცვის, ხანშიშესულთა მოვლის, მშობლების გარეშე დატოვებული ბავშვების აღზრდას, ოჯახის ფუნქციონალური მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ნორმების სიმკაცრე კლებულობს. ქალებს ასევე უჩინდებათ სახლის გარეთ მუშაობის შესაძლებლობა. პოსტ-მოდერნული მსოფლმხედველობა ხაზს უსვავს ავტონომიას და მრავალფეროვნებას, ასახვს იერარქიული ინსტიტუტების და

რიგიდული სოციალური ნორმების მნიშვნელობის შემცირებას და ინდივიდუალური არჩევანისა და მონაწილეობის ზრდას.

მოდერნიზაციას აუცილებლად არ მოყვება დემოკრატიზაცია. მისი შედეგი ასევე შეიძლება იყოს დიქტატურა, რაც მრავალჯერ დადასტურდა (მაგ. კომუნიზმი), მაგრამ პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების პრევალირება მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის აღმოცენებისა და დამკვიდრების ალბათობას. ეკონომიკური კეთილდღეობა და ფიზიკური უსაფრთხოება ხელს უწყობს პლურალიზმის და კერძოდ დემოკრატიის განვითარებას, ორაზროვნების ატანას და კულტურულ ცვლილებას.

პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების პრევალირება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დემოკრატიასთან არის დაკავშირებული. ჭეშმარიტი დემოკრატია გულისხმობს ხალხის მიერ მმართველობას, რომლის დროსაც საჯარო პოლიტიკას მასების პრიორიტეტები განსაზღვრავენ. სწორედ ამით განსხვავდება „არჩევნებითი დემოკრატია“, რომელიც მრავალ ავტოკრატიული და ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებშიც არსებობს, „ლიბერალური“ დემოკრატიისაგან (Welzel & Inglehart, 2008). ავტორიტეტის პატივისცემის შემცირება, მონაწილეობისა და თვით-გამოხატვის გაზრდა მიუთითებს გადასვლაზე მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობიდან მასობრივი მონაწილეობის უფრო აქტიურ და კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ ფორმებზე. გამოხატვის თავისუფლება და მონაწილეობა თავისთავად, და არა როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება ხდება ღირებული. სამსახურისადმი ინტერესი ხელფასიდან და სამსახურის უსაფრთხოებიდან სამუშაოს შინაარსისადმი ინტერესისა და სამუშაოს მნიშვნელობისაკენ ინაცვლებს. ქვეყნებისთვის სადაც თვით-გამოხატვის ღირებულება მაღალია შემდეგი თვისებებია დამახასიათებელი: მონაწილეობითი მიდგომა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებისადმი; გენდერული თანასწორობა; უცხოელებისადმი, ჰომოსექსუალებისა და ზოგადად სხვა ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ ტო-



ლერანტობა, ადამიანებისადმი ნდობის მაღალი დონე. თვით-გამონახტვის ღირებულებასთან ერთად, დემოკრატიის ეფექტურობის პირობას ასევე მოქმედების რესურსების სიმრავლე წარმოადგენს, რაც გულისხმობს როგორც ეკონომიკურ რესურსებს, ასევე განათლებას და კარგად ორგანიზებულ მასებს. მასებში დემოკრატიის მოთხოვნის მოტივაცია პოლიტიკურ ელიტას აიძულებს მოიქცეს დემოკრატიულად. ინგლეჰარტის მიხედვით (Inglehart, 1997) მრავალწლიანი კვლევების მონაცემები თვით-გამონახტვის ღირებულების დემოკრატიასთან მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე მიუთითებენ – იგი ხელს უწყობს დემოკრატიის დამკვიდრებას და არა პირიქით, დემოკრატია არ განაპირობებს ამ ღირებულების მნიშვნელობის ზრდას. „მსოფლიოს ღირებულებების გამოკითხვის“ მრავალი წლების მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ თვით-გამონახტვის ღირებულების აღმოცენება ხდებოდა თაობათა შორის ღირებულებათა ცვლის პროცესში და ამას ადგილი თვით რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებშიც კი ქონდა (მაგ. კომუნისტურ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში). მატერიალური შესაძლებლობების, კოგნიტური უნარების და სოციალური კავშირების ზრდა განაპირობებს თვით-გამონახტვის ღირებულებასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობის გავრცელების არეალის გაფართოებას. ამდენად, შეიძლება დავასვნათ, რომ თვით-გამონახტვის ღირებულება წარმოადგენს ინტერპერსონალური ნდობის, ტოლერანტობისა და პოლიტიკური აქტივიზმის სინთეზს და გადამწყვეტ როლს თამაშობს დემოკრატიის აღმოცენებასა და ფუნქციონირებაში.


ღირებულებების ჩამოყალიბება ადრეული ბავშვობიდან იწყება და მოზრდილობის ასაკისათვის მთავრდება, თუმცა ცხოვრებისეული გამოცდილება სასიცოცხლო ციკლის მთელ მანძილზე ცვლის ღირებულებებს, მართალია ბევრად უფრო ნელა და ნაკლებად მკვეთრად, ვიდრე ამას მოზრდილობის მიღწევამდე აქვს ადგილი.

### **3.2.2. მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები, მათთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული თვისებები**

მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების გაზომვის სტანდარტული პროცედურის მიხედვით რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ ორჯერ გაეკეთებინათ არჩევანი და შეერჩიათ ოთხიდან ორი მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება. ამ ოთხიდან ორი – „ქვეყანაში წესრიგის დაცვა“ და „ფასების ზრდის შეჩერება“ მატერიალისტურ, ხოლო დანარჩენი ორი – „ადამიანებს ქონდეთ საშუალება ზეგავლენა მოახდინონ მთავრობის გადაწყვეტილებებზე“ და „სიტყვის თავისუფლება“, პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს წარმოადგენენ.

რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად შერჩეულ იქნა „ქვეყანაში წესრიგის დამყარება“, შემდეგ კი „სიტყვის თავისუფლება“, შესაბამისად, რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა უპირატესობა შერეულ ღირებულებებს მიანიჭა (56.7 პროცენტი) დიდმა ნაწილმა მატერიალისტური ღირებულებები შეარჩია (31.7 პროცენტი), საკმაოდ მცირეა იმ ადამიანთა წილი, ვინც უპირატესობა პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს მიანიჭა (11.6 პროცენტი).

შედგები თაობათა შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებენ (*Chi Square* 32.20; *df*.4;  $p < .001$ ). შერეული და ასევე პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების მნიშვნელობა უფრო დიდია ახალგაზრდა, ხოლო მატერიალისტურის უფროსი ასაკის რესპონდენტებისთვის.



ნახ. 4

მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები სხვადასვა თაობებში

### 3.2.3. დემოკრატია

მატერიალისტური და პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს ხშირად განიხილავენ დემოკრატიასთან მიმართებაში. ველცელისა და ინგლეჰარტის მიხედვით (Welzel & Inglehart, 2008), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნებში, სადაც თვითგამოხატვის ანუ პოსტ-მატერიალისტური ღირებულება მაღალია, მაღალია დემოკრატიის მაჩვენებლები – მოსახლეობის პოლიტიკური აქტივიზმი, გენდერული თანასწორობა, სხვა ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ ტოლერანტობა, სხვებისადმი ნდობა.

კვლევამ უჩვენა, რომ სამივე თაობის წარმომადგენელთა უმეტესობისათვის დემოკრატია და მისი ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა მონაწილეობა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა მნიშვნე-

ნელოვან ღირებულებებს წარმოადგენენ. გამოკითხულთა 71.1 პროცენტი დემოკრატიას მმართველობის საუკეთესო ფორმად მიიჩნევს. საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიურობა სასურველად არის მიჩნეული. უმრავლესობა (53.0 პროცენტი) ფიქრობს, რომ საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი. ასე ფიქრობენ უფრო მეტად უფროსი (59.7 პროცენტი), ვიდრე საშუალო (50.9 პროცენტი) და უმცროსი (50.7 პროცენტი) თაობის წარმომადგენლები (*Chi Square* 11.63; *df*:4;  $p < .05$ ).

75.0 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა უსმენდეს ხალხს და აკეთებდეს იმას, რასაც ხალხი მისგან მოითხოვს. გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (45.4 პროცენტი) არ ეთანხმება იმ აზრს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ხალხის მონაწილეობა აუცილებელია არ არის, თუ ამ გადაწყვეტილების მიღება რამოდენიმე სანდო და მცოდნე ლიდერის ხელშია.

მონაწილეობის მნიშვნელობის საყოველთაო აღიარებას ნაკლებად შეესატყვისება პოლიტიკისადმი ახალგაზრდების მცირე ინტერესი. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მხოლოდ ერთი მეოთხედი (25.1 პროცენტი) მიუთითებს პოლიტიკისადმი ინტერესის არსებობაზე. ინტერესი მატულობს ასაკთან ერთად. პოლიტიკა აინტერესებს საშუალო თაობის 39.4 და უფროსი თაობის 53.9 პროცენტს. იგივე კანონზომიერება არის ასახული ტელევიზიით ახალი ამბების თვალყურის დევნაში (ახალ ამბებს უყურებს ახალგაზრდების 31.1 პროცენტი, საშუალო თაობის წარმომადგენელთა 54.2 პროცენტი და უფროსი თაობის წარმომადგენელთა 71.9 პროცენტი) და მეგობრებთან პოლიტიკაზე საუბარში (მეგობრებთან პოლიტიკაზე ლაპარაკობს ახალგაზრდების 13.4 პროცენტრი, საშუალო თაობის წარმომადგენელთა 26.0 პროცენტი და უფროსი თაობის წარმომადგენელთა 29.4 პროცენტი).

სამივე თაობა თანხმდება, რომ აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. 72.2 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ დემოკრატია შეუძლებელია პოლიტიკური ოპოზიციის გარეშე. ასევე უმრავლესობა (48.5 პროცენტი) ფიქრობს, რომ ნებისმიერ ინდივიდსა და ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უფლება მოაწყოს სახელმწიფოს ნებისმიერი ინიციატივის საწინააღმდეგო აქცია და რომ ყველას, მიუხედავად მრწამსისა უნდა ქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა (87.0 პროცენტი) და ისეთივე სამართლებრივი უფლებები, როგორც ყველა სხვას (87.4 პროცენტი).

კანონის წინაშე თანასწორობა უმრავლესობას (89.5 პროცენტი) დემოკრატიის აუცილებელ პირობად მიაჩნია, თუმცა ბევრი (48.8 პროცენტი) ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ ზოგჯერ შეიძლება კანონი დაარღვიოს იმისათვის, რომ დააკავოს კრიმინალი. უმრავლესობა ხაზს უსვავს ლიდერების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების აუცილებლობას. 77.4 პროცენტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავარია პოლიტიკოსმა სასურველ შედეგს მიაღწიოს და მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებას გამოიყენებს ამისთვის.

### **საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასება**

ხელისუფლების მიერ ქვეყანაში დეკლარირებული დემოკრატიის შენების მიუხედავად საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით ბოლო ათწლეულში ქვეყანაში დემოკრატიის დონე კლებულობს.

### ცხრილი 3

„ფრიდომ ჰაუსის“ ინდექსი 2002-2011 წლები: საქართველო

ინდექსი	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საარჩევნო პროცესი	5.00	5.25	5.25	4.75	4.75	4.50	4.75	5.25	5.25	5.00
სამოქალაქო საზოგადოება	4.00	4.00	3.50	3.50	3.50	3.50	3.50	3.75	3.75	3.75
დამოუკიდებელი მედია	3.75	4.00	4.00	4.25	4.25	4.00	4.25	4.25	4.25	4.25
ცენტრალური დემოკრატიული მმართველობა	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.50	5.50	5.50	5.50
ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.5	5.50	5.50	5.50
საკანონმდებლო ჩარჩო და დამოუკიდებლობა	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75	4.75	4.75	4.75	5.00
კორუფცია	5.50	5.75	6.00	5.75	5.50	5.00	5.00	5.00	5.00	4.75
დემოკრატიის მაჩვენებელი	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93	4.93	4.86

შკალური ღირებულება:


დემოკრატიის უმაღლესი დონე =1, უდაბლესი =7.

წყარო: Nations in Transit. Freedom House 2011

გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (35.8 პროცენტი) მიაჩნია, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, 31.1 პროცენტი მიიჩნევს, რომ არის, ხოლო 33.0 პროცენტს უჭირს შეფასების გაკეთება.

უმრავლესობა ასევე უარყოფითად აფასებს არსებულ მდგომარეობას დემოკრატიული ღირებულებების განხორციელებასთან მიმართებაში. უმრავლესობა (69.4 პროცენტი) თვლის, რომ მისნაირ ადამიანს არ შეუძლია მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა. ამასთან ასაკთან ერ-

თად იზრდება იმ ადამიანების წილი, ვინც ამ აზრს იზიარებს (64.9 პროცენტი პირველი, 69.0 პროცენტი მეორე და 76.3 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში. *Chi Square* 17.13; *df*:4; *p*<.005). უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება თითქმის არ ითვალისწინებს ხალხის აზრს (48.6 პროცენტი) და რომ კანონის წინაშე საქართველოს მოქალაქეები არ არიან თანასწორი (57.2 პროცენტი). ასევე უმრავლესობის აზრით საქართველოში ადამიანის უფლებები არ არის დაცული (48.2 პროცენტი).



ნახ. 5  
ნდობა ინსტიტუტების მიმართ

გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლები (47.9 პროცენტი) მიიჩნევს, რომ საქართველო განვითარების სწორ გზას ადგას, 19.7 პროცენტი ფიქრობს, რომ არ ადგას, ხოლო დიდ ნაწილს (32.4 პროცენტი) უჭირს შეფასების გაკეთება.

ნდობა ინსტიტუტების მიმართ დაბალია და ამასთან მიმართებაში თაობებს შორის განსხვავება არ აღინიშნება. ყველაზე დიდი ნდობით ეკლესია სარგებლობს (86.6 პროცენტი). სახელმწიფო ინსტიტუტებიდან ყველაზე დიდ ნდობას (51.5 პროცენტი) პოლიცია, ყველაზე ნაკლებს კი პარლამენტი (28.7 პროცენტი) იმსახურებს.

### **თანასწორობა და შემწყნარებლობა**

თანასწორობა დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს და მრავალ სფეროს – გენდერულ ურთიერთობებს, ეკონომიკას, ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებთან ურთიერთობას მოიცავს.

გენდერულ თანასწორობას, როგორც ოჯახში, ასევე საჯარო სივრცეში უფრო მეტი მომხრე ახალგაზრდა თაობაში ყავს. უფროსი თაობის წარმომადგენელთა უფრო დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში საბოლოო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს (61.9 პროცენტი პირველ, 65.6 პროცენტი მეორე და 77.5 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 18.46; *df*:4;  $p<.005$ ), ასევე უფროსი თაობა უფრო მეტად იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ ქალმა ნაკლები დრო უნდა დაუთმოს სამსახურს, რომ უკეთ მოუაროს ოჯახს (40.5 პროცენტი პირველ, 44.7 პროცენტი მეორე და 68.2 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში *Chi Square* 53.03; *df*:4;  $p<.001$ ) და მოსაზრებას, რომ ყველასათვის უკეთესია, როდესაც კაცი მუშაობს, ქალი კი ოჯახს უვლის (42.3 პროცენტი პირველ, 53.67 პროცენტი მეორე და 74.0 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში *Chi Square* 63.38; *df*:4;  $p<.001$ ).

ახალგაზრდა თაობაში უფროს თაობაზე უფრო მცირეა მათი წილი, ვინც ფიქრობს, რომ სამუშაო ადგილების სიმცირის შემთხვევაში, სამსახურში აყვანისას კაცებს უნდა მიენიჭოთ უპირატესობა (29.1 პროცენტი პირველ, 34.1 პროცენტი მეორე და 44.7 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 19.35; *df*:6;  $p<.005$ ), რომ უმაღლესი განათლება ბიჭისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგოსათვის (16.9 პროცენ-



ტი პირველ, 22.7 პროცენტი მეორე და 31.2 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში *Chi Square* 17.76; *df*:2; *p*<.001).

თაობები ერთნაირად იზიარებენ (გამოკითხულთა 86.1 პროცენტი) მოსაზრებას, რომ ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასევე ყველა თაობა (გამოკითხულთა 73.4 პროცენტი) თანხმდება, რომ თუ ოჯახს ერთი შვილი უნდა ყავდეს, უმჯობესია ეს ვაჟი იყოს.


გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში საქართველოში არსებულ სიტუაციას ახალგაზრდა თაობა უფრო კრიტიკულად აფასებს. მას უფროს თაობაზე მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებად მიაჩნია, რომ ქალები და კაცები საქართველოში თანასწორნი არიან (39.8 პროცენტი პირველ, 48.6 პროცენტი მეორე და 47.0 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 19.35; *df*:6; *p*<.005), თუმცა უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახალგაზრდებზე უფრო მეტად სწამთ, რომ კაცებს სამუშაოს შოვნის მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ფიქრობენ, რომ მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შოვნა ერთნაირი ცოდნისა და უნარების შემთხვევაშიც კი კაცისათვის უფრო ადვილია (38.2 პროცენტი პირველ, 35.7 პროცენტი მეორე და 48.5 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 25.81; *df*:4; *p*<.001).

ეკონომიკური თანასწორობის იდეა ახალგაზრდებისათვის უფრო ნაკლებ მომხიბლავი ჩანს. ასაკთან ერთად მატულობს იმათი წილი, ვისაც უფრო მართებულად მიაჩნია, რომ ყველას მეტ-ნაკლებად ერთნაირი შემოსავალი ჰქონდეს, ვიდრე არსებობდნენ მდიდრები და ღარიბები (ახალგაზრდების 62.9 პროცენტი, საშუალო თაობის წარმომადგენელთა 70.1 პროცენტი და უფროსი თაობის რესპონდენტების 72.3 პროცენტი *Chi Square* 15.07; *df*:4; *p*<.005).

ახალგაზრდა თაობა უფრო მეტ შემწყნარებლობას ამჟღავნებს სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ. ეს ეხება ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს, ნარკომანებს, კრიმინალებს და ა.შ., მაგრამ არ ეხება სხვა რელიგიის წარმომადგენ-

ლებს, რომელთა მიმართაც ახალგაზრდობა ნაკლებად იჩენს შემწყნარებლობას.

უფროსი თაობის წარმომადგენლები უფრო მეტად ემხრობიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამუშაოს ნაკლებობის შემთხვევაში სამსახურში მიღებისას უპირატესობა ეთნიკურ ქართველებს უნდა მიენიჭოთ (47.2 პროცენტი პირველ, 55.6 პროცენტი მეორე და 61.4 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 16.64; *df*:4; *p*<.005).



ნახ. 6

სხვა ჯგუფების წარმომადგენლების მეზობლად ყოფნის არასასურველობა

უფროს თაობებზე უფრო მეტად ახალგაზრდები მიიჩნევენ რომ ჰომოსექსუალ ქალებსა და კაცებს უნდა ქონდეთ უფლება ისე იცხოვრონ, როგორც ეს მათ სურთ (14.4 პროცენტი პირველ, 8.1 პროცენტი მეორე და 7.2 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 35.56; *df*:4; *p*<.001).


აღსანიშნავია, რომ პასუხად კითხვაზე, „რამდენად სასურველად მიგაჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების თქვენს მეზობლად ყოფნა“, ძალზე არასასურველად რესპონდენტთა

ყველაზე დიდმა ნაწილმა ჰომოსექსუალები, შემდეგ კი ნარკომანები და ფსიქიურად არამდგრადი ადამიანები შეაფასა. ამასთან შეუწყნარებლობა მატულობს ასაკთან ერთად ყველას მიმართ, გარდა ფსიქიკურად არამდგრადი პირებისა.

### **რწმენა მილწევის შესაძლებლობაში და სოციალური აქტიობა**

დემოკრატიაში პიროვნებას უნდა მისცეს სოციალური და პოლიტიკური აქტიობის და საკუთარ უნარებზე, ძალისხმევა-სა და ცოდნაზე დაყრდნობით მილწევის შესაძლებლობას გამოკითხულთა უმრავლესობას (81.9 პროცენტი) სჯერა, რომ თავდადებულ შრომას საბოლოოდ აუცილებლად მოაქვს წარმატება და რომ ის, თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში უფრო მასზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვებზე და ვითარებაზე (71.7 პროცენტი). ამ უკანასკნელის შემთხვევაში აღინიშნება თაობებს შორის განსხვავება (*Chi Square* 15.20; *df*:2; *p*<.005). მოსაზრებას საშუალო ასაკის (65.2 პროცენტი) და უფროსი ასაკის (74.5 პროცენტი) რესპონდენტებთან შედარებით ახალგაზრდების უფრო დიდი წილი (77.1 პროცენტი) იზიარებს. მაგრამ საპირისპიროა წარმატებისათვის განათლების მნიშვნელობის შეფასება. მას მნიშვნელოვნად მიიჩნევს პირველი ასაკობრივი ჯგუფის 59.3, მეორე ასაკობრივი ჯგუფის 73.0 და მესამე ასაკობრივი ჯგუფის 77.9 პროცენტი.

ძალზე დაბალია მოსახლეობის აქტიურობის დონე საჯარო სფეროში. გამოკითხულთა მხოლოდ 3.4 პროცენტმა აღნიშნა, რომ არის ნებაყოფლობითი გაერთიანების წევრი. უკეთესი მდგომარეობაა სოციალურ აქტიურობასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 75.6 პროცენტმა აღნიშნა, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში დახმარება გაუწია ახლობელს. 25.0 პროცენტმა ეს ერთხელ, 19.1 პროცენტმა ორჯერ, 13.0 პროცენტმა სამჯერ, ხოლო 18.5 პროცენტმა ოთხიდან ცხრა შემთხვევამდე გააკეთა. ყველაზე ხშირად ეს იყო ფულადი დახმარება (38.3 პროცენტი), დახმარება სუფრის გაშლაში (33.0 პროცენტი) და მოსავლის აღებაში (28.0 პროცენტი).



ნახ.7  
გაწეული დახმარება

გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდები უფროსებზე უფრო სოციალურად აქტიურები არიან ყველა სფეროში გარდა სიკვდილთან დაკავშირებული რიტუალებისა (პანაშვიდი, გასვენება, წლისთავი ან ორმოცი). ახალგაზრდები უფრო ხშირად დადიან კაფესა და რესტორანში, დაბადების დღეებზე, სხვადასვა წვეულებებზე, კონცერტებზე, სპორტულ ღონისძიებებზე, კინოსა და თეატრში. უფროსი თაობა უფრო მეტად ესწრება პანაშვიდებსა და გასვენებებს, ხოლო საშუალო თაობა ქორწილებსა და ნათლობებს.

## ცხრილი 4

### სხვადასხვა თაობის ადამიანთა სოციალური აქტიობა

		18-24 წელი	40-50 წელი	60-70 წელი	სულ	განსხვავება <i>Chi-Square;</i> <i>df; p&lt;.</i>
1	პანაშვიდი/გასვენება/ ორმოცი/წლისთავზე დასწრება	44.8	66.0	64.0	58.1	41.0;2; .001
2	დაბადების დღეზე დასწრება	73.6	58.3	33.0	57.3	1.03;2; .001
3	კაფეში/რესტორანი წასვლა	67.8	36.6	11.2	41.3	2.06;2; .001
4	ქორწილზე დასწრება	29.4	30.0	19.2	27.1	11.09;2; .005
5	წვეულებაზე დასწრება	27.5	25.0	16.1	23.7	11.7;2; .005
6	კონცერტზე დასწრება	19.7	9.0	5.7	11.9	34.02;2; .001
7	სპორტულ ლონისძიებაზე დასწრება	17.7	8.5	5.0	10.8	29.62;2; .001
8	ნათლობაზე დასწრება	12.0	12.3	3.8	10.1	14.96;2; .005
9	კინოში წასვლა	16.9	4.2	4.6	8.7	46.9;2; .001
10	თეატრში წასვლა	13.6	6.1	5.4	8.6	18.6;2; .001
11	მუზეუმში/გამოფენაზე წასვლა	10.1	8.3	5.7	8.3	არ არის მნიშ- ვნელოვანი.

### 3.2.2. ნდობა და პატიოსნება

საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული საზოგადოების წევრთა ურთიერთნდობასა და სოლიდარობაზე. სხვა ადამიანებისადმი ზოგად ნდობას დემოკრატიის და საზოგადოებრივი აქტიობის ერთერთ პირობად მიიჩნევენ. ნდობას განსაზღვრავენ, როგორც გენერალიზებულ მოლოდინს იმის თაობაზე, რომ სხვა ადამიანები

ზოგადად სანდო და პატიოსნები არიან (Jones., Couch., & Scott, 1997).

ნდობა სხვების მიმართ ძალზე დაბალია სამივე თაობის წარმომადგენლებთან. გამოკითხულთა მხოლოდ 20.6 პროცენტს მიაჩნია, რომ უმრავლესობა ნდობას იმსახურებს, დანარჩენი 79.4 პროცენტი ემხრობა მოსაზრებას, რომ სხვებთან ურთიერთობისას ადამიანს უფრო მეტი სიფრთხილე მართებს.

არამართებული ქმედებების მიმართ ახალგაზრდები უფრო მეტ შემწყნარებლობას ამჟღავნებენ, ვიდრე უფროსი თაობის ადამიანები. ერთადერთ გამონაკლის აბორტის გაკეთება წარმოადგენს – ახალგაზრდებს უფრო მცირე ნაწილს მიაჩნია ის გამართლებლად, რაც ახალგაზრდებზე რელიგიის უფრო დიდი ზეგავლენით უნდა იყოს გაპირობებული.

ყველაზე მიუღებლად ცოლის ცემაა მიჩნეული, მას გამოკითხულთა მხოლოდ 0.5 პროცენტი ამართლებს, შემდეგ ბავშვის ცემა და ჰომოსექსუალიზმი.

### ცხრილი 5


#### არამართებულ ქცევათა რანჟირება

რანგი	ქმედება	18-24 წელი	40-50 წელი	60-70 წელი	სულ	განსხვავება
		N=369	N=424	N=261	N=1054	Chi-Square; df; .<
1	ცოლის ცემა	0.5	0.5	0.4	0.5	არ არის მნიშვნელოვანი
2	ბავშვის ცემა	4.7	1.2	1.5	2.6	არ არის მნიშვნელოვანი
3	ჰომოსექსუალიზმი	6.8	1.9	1.2	3.5	39.19;8;<.001
4	„პლანის“ მოწევა	7.6	3.6	1.6	4.5	45.56;8;<.001

5	პროსტიტუცია	8.9	2.4	1.9	4.6	43.53;8;<.001
6	გათხოვილ ქალს ქონდეს სექსუალური ურთიერთობა	6.7	5.5	1.9	5.0	21.31;8;<.05
7	აბორტი	3.0	6.4	6.2	5.2	18.48;8;<.05
8	ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევა	11.7	4.7	1.9	6.5	44.17;8;<.001
9	მოპარული ნივთის ყიდვა	55.0	3.8	2.3	7.2	82.84;8;<.001
10	ქუჩაში უადგილო ადგილას გადასვლა	14.6	6.6	5.0	9.0	37.02;8;<.001
11	ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობა	16.3	8.4	4.2	10.1	50.48;8;<.001
12	საკუთარი ინტერესების მისაღწევად ტყუილის თქმა	18.1	9.5	5.8	11.5	48.3;8;<.001
13	ცოლიან კაცს ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობა	18.1	10.9	6.5	12.3	27.62;8;<.001
14	მეგობრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, თუ ეს სიმართლის დადგენას ემსახურება	15.9	16.7	21.3	17.5	არ არის მნიშვნელოვანი
15	გამოცდაზე გადაწერა	33.0	18.0	20.0	22.8	52.62;8;<.001
16	განქორწინება	32.2	21.3	20.8	25.0	35.04;8;<.001
17	ტყუილის თქმა, თუ ეს თქვენს მეგობარს სჭირდება	41.3	24.9	19.8	29.3	52.66;8;<.001

### 3.2.3. განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა და სამუშაოთი კმაყოფილება

განათლება და კარგი ეკონომიკური მდგომარეობა სოციალური ცვლილებებისათვის საჭირო რესურს წარმოადგენს. გამოკითხულთა 75.1 პროცენტს აქვს საშუალოზე უფრო მაღალი განათლება. ასევე საკმაოდ დიდია კომპიუტერის მომხმარებელთა წილი. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (58.4 პროცენტი) იყენებს კომპიუტერს, 55.5 ხმარობს ინტერნეტს, ხოლო 45.9 პროცენტი სოციალური ქსელის მომხმარებელია. კომპიუტერის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მოხმარება მკვეთრად კლებულობს ასაკთან ერთად, განსხვავება განსაკუთრებით დიდია მეორე და მესამე ასაკობრივ ჯგუფებს შორის.




ნახ. 8  
კომპიუტერის მომხმარებლები სხვადასხვა თაობებში

ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს საზოგადოების მოდერნიზაციულიდან პოსტ-მოდერნიზაციულ ეტაპზე გადასვლას. მნიშვნელოვანია არა იმდენად რეალური, არამედ სუბიექტუ-



რი კეთილდღეობის აღქმა, რაც თავის მხრივ რასაკვირველია რეალობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მთლიანად რეალობით არ განისაზღვრება. ახალგაზრდა თაობა უფრო დადებითად აფასებს საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ვიდრე ამას საშუალო ან უფროსი თაობის ადამიანები აკეთებენ. საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა, საერთო ჯამში 34.4 პროცენტმა შეარჩია მტკიცება, რომლის მიხედვითაც მის ოჯახს აქვს საჭმლისა და ტანსაცმლის ფული, მაგრამ არ შეუძლია ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა. ეს მტკიცება ყველაზე ხშირად მეორე და მესამე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების მიერ იყო შერჩეული, მაშინ როდესაც ახალგაზრდების ყველაზე დიდმა ნაწილმა შეარჩია მტკიცება, რომლის მიხედვითაც მათ ოჯახს შეუძლია ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა და დასასვენებლად წასვლა, მაგრამ უჭირს მართლაც ძვირადღირებული საგნების შეძენა (42.9 პროცენტი პირველ, 29.6 პროცენტი მეორე და 19.5 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 95.93; *df*:8;  $p < .001$ ). ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯგუფებს შორის განსხვავება აღწერდეს ფაქტობრივად არსებულ განსხვავებას, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ განსხვავება არის შეფასებაში, რაც შეესატყვისება ახალგაზრდებში არსებულ უფრო ოპტიმისტურ განწყობას. ახალგაზრდების ასევე უფრო დიდ ნაწილს (36.3 პროცენტი) საშუალო (22.0 პროცენტი) და უფროსი (13.7 პროცენტი) თაობის ადამიანებთან შედარებით მიაჩნია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა (*Chi Square* 61.62; *df*:4;  $p < .001$ ). სამივე თაობის შემთხვევაში საკმაოდ დიდია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი თუმცა, ისევე ახალგაზრდების უფრო დიდი რაოდენობა ელის მის გაუმჯობესებას 1 წლის განმავლობაში (69.9 პროცენტი პირველ, 53.4 პროცენტი მეორე და 40.5 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 68.54; *df*:4;  $p < .001$ ).


გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (48.2 პროცენტი) მიუთითა, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში არ ქონდა შემოსავალი. საშუალო თაობის წარმომადგენლები (64.3 პროცენტი) უფრო მეტად არიან ეკონომიურად აქტიური, ვიდრე ახალგაზრდა (38.4 პროცენტი) და უფროსი თაობის წარმომადგენლები (36.4 პროცენტი) (*Chi Square 73.03; df.2; p<.001*). ეკონომიკურ აქტიობაზე შესაბამისად მიუთითა ახალგაზრდა თაობის 38.4, საშუალო თაობის 64.1 და უფროსი თაობის წარმომადგენელთა 36.4 პროცენტმა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტის შემოსავალი საკუთარ ბიზნეს აქტიურობასთან არის დაკავშირებული, რაშიც საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია იგულისხმება. ბევრად უფრო მეტი ახალგაზრდა არის დაკავებული კერძო ბიზნესში, უფროსი თაობის წარმომადგენლებთან შედარებით. ასაკთან ერთად მატულობს დამოკიდებულება სახელმწიფო წყაროებზე.



ნახ. 9  
შემოსავლის წყაროები თაობების მიხედვით

თაობები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან სამუშაოს ასპექტების მნიშვნელობის შეფასების მიხედვით, უმრავლეს

სოხის მიერ მატერიალური ანაზრაურება სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტად არის მიჩნეული.



ნახ. 10

სამუშაოს მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასება

**ძირითადი შედეგები:**

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი შერეულ – ერთ მატერიალისტურ, უფრო ხშირად „ქვეყანაში წესრიგის დაცვა“ და ერთ პოსტ-მატერიალისტურ, უფრო ხშირად „სიტყვის თავისუფლება“-ს ანიჭებს უპირატესობას. შერეული და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების წილი უფრო მაღალია ახალგაზრდა თაობაში.

დამოკიდებულება დემოკრატიისადმი, როგორც მმართველობის ფორმისადმი, ისევე როგორც მისი ისეთი კომპონენტებისადმი, როგორიცაა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და კანონის წინაშე თანასწორობა საყოველთაოდ დადებითია.

ინტერესი პოლიტიკის მიმართ ყველაზე დაბალია ახალგაზრდებში და ის ასაკთან ერთად იზრდება.

გენდერული თანასწორობა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა უფრო მაღალია ახალგაზრდებთან. გამონაკლის წარმოადგენს დამოკიდებულება სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, რასაც ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები ამჟღავნებენ.

ნდობა სხვების მიმართ, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში გაწევრიანების დონე და გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენის ღირებულება ძალზე დაბალია სამივე თაობაში.

განათლების დონე, რომელიც დემოკრატიის განვითარების რესურს წარმოადგენს საკმაოდ მაღალია. გამოკითხულთა შორის ნახევარზე მეტი სარგებლობს კომპიუტერთ და მათი წილი ყველაზე მეტი ახალგაზრდა თაობაშია.

ახალგაზრდები, სხვა თაობებთან შედარებით უფრო დადებითად აფასებენ საკუთარი ოჯახების ეკონომიკურ კეთილდღეობას და მეტ ეკონომიკურ ოპტიმიზმს იჩენენ.


ახალგაზრდების შემოსავალი უფრო მეტად არის დამოკიდებული კერძო ბიზნესზე, ხოლო უფროსი თაობის სახელმწიფოზე.

### 3.3. რელიგია

გამოკითხულთა უმრავლესობა (93.4 პროცენტი) მართლმადიდებელია, 2.4 პროცენტი მაჰმადიანი, 1.7 პროცენტი კათოლიკე, 0.6 პროცენტი გრიგორიანელი, ამდენივეა იელოვას მოწმე, 0.3 პროცენტი სხვა აღმსარებლობას მიეკუთვნება, ხოლო 1.0 პროცენტი არ არის მორწმუნე.


შემწყნარებლობა სხვა რელიგიების მიმართ დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 23.7 პროცენტს მიაჩნია, რომ სხვა რელიგიებს ან ეკლესიებს უნდა ჰქონდეთ საქართველოში ისეთივე უფლებები, როგორც ეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს (21.4 პროცენტს პირველ, 20.8 პროცენტს მეორე

და 31.4 პროცენტს მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi Square* 18.08; *df*:4; *p*<.001). სამივე თაობის რესპონდენტები მზად არიან უფრო მეტი უფლებები მიანიჭონ ძირითადი რელიგიების წარმომადგენლებს. იელოვას მოწმეებს ამ უფლებას გამოკითხულთა ყველაზე მცირე ნაწილი ანიჭებს.



ნახ. 11  
რელიგიური რიტუალების შესრულების უფლების მინიჭება

სხვა აღმსარებლობების მიმართ ნაკლებ ტოლერანტული დამოკიდებულება გასაკვირი არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობას (56.3 პროცენტი) მიაჩნია, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია. თაობები ამ მრწამსში ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან.



ნახ. 12

შეხედულება რელიგიის ჭეშმარიტების თაობაზე

გამოკითხვის შედეგები მიუთითებენ რელიგიის დიდ მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. რესპონდენტთა უდიდესი ნაწილისათვის (65.9 პროცენტი) ქრისტიანობა უფრო მეტად წარმოადგენს თვით-იდენტიფიკაციის საფუძველს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობა (34.1 პროცენტი).


რელიგიის მნიშვნელობა კლებულობს ასაკთან ერთად. იგი ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა რესპონდენტთა 55.3 პროცენტის, საშუალო ასაკის რესპონდენტთა 44.8 პროცენტის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა 41.3 პროცენტისთვის ( $Chi Square 24.09; df.6; p<.001$ ). თუმცა თაობებს შორის განსხვავება არ აღინიშნება ძირითადი რელიგიურ რიტუალების შესრულებაში. მათ გამოკითხულთა 37.0 პროცენტი ასრულებს. ახალგაზრდა თაობის უფრო დიდი ნაწილი (67.1 პროცენტი) საშუალო

ასაკის (53.2 პროცენტი) და უფროსი ასაკის (42.1 პროცენტი) წარმომადგენლებთან შედარებით ეკლესიაში დადის ხშირად – კვირაში რამდენჯერმე, ერთხელ ან თვეში ერთი-ორჯერ (*Chi Square* 63.98; *df*.10;  $p<.001$ ). ახალგაზრდათა თითქმის ნახევარი (49.7 პროცენტი) საშუალო ასაკის წარმომადგენელთა 38.7 პროცენტი და ხანდაზმულთა 27.2 პროცენტი არის მრევლის წევრი (*Chi Square* 35.75; *df*.2;  $p<.001$ ).

გამოკითხულთა უდიდეს ნაწილს სწამს ღმერთის (96.7 პროცენტი) და ცოდვის არსებობის (83.0 პროცენტი). თაობებს შორის განსხვავება აღინიშნება მრწამსში: სამოთხის არსებობაზე (პირველი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 74.2 პროცენტი, მეორე ასაკობრივი ჯგუფის 65.1 და მესამე ასაკობრივი ჯგუფის 50.0 პროცენტი, *Chi Square* 46.33; *df*.4;  $p<.001$ ), ჯოჯოხეთის არსებობაზე (პირველი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 66.9 პროცენტი, მეორე ასაკობრივი ჯგუფის 58.3 და მესამე ასაკობრივი ჯგუფის 42.3 პროცენტი, *Chi Square* 48.12; *df*.4;  $p<.001$ ), სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობაზე (პირველი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა 61.2 პროცენტი, მეორე ასაკობრივი ჯგუფის 55.1 და მესამე ასაკობრივი ჯგუფის 43.3 პროცენტი, *Chi Square* 63.98; *df*.4;  $p<.001$ ).

გამოკითხულთა უმრავლესობა (80.7 პროცენტი) რელიგიაში შვებასა და ძალას პოულობს. რელიგია შვებას ყველაზე მეტად საშუალო (83.5 პროცენტი), შემდეგ კი ახალგაზრდა (80.8 პროცენტი) და უფროსი თაობის (76.1 პროცენტი) წარმომადგენლებს ანიჭებს (*Chi Square* 9.12; *df*.4;  $p<.001$ ).

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია პასუხობს ადამიანის სულიერ მოთხოვნებს და აქვს პასუხი მორალურ, ოჯახისა და სოციალურ პრობლემებზე.



ნახ. 13

*ეკლესიის მიერ პასუხის ქონა ადამიანის მოთხოვნებზე და პრობლემებზე*

გამოკითხულთა უმეტესობა საერო და რელიგიური სფეროების ერთიანობის მომხრეა. თითქმის ნახევარს (49.4 პროცენტი) მიაჩნია, რომ პოლიტიკოსები, რომლებსაც ღმერთი არ სწამთ, არ უნდა იყვნენ არჩეული მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა (53.1 პროცენტი) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რელიგიური ლიდერები არ უნდა ერეოდნენ ქვეყნის მართვის საკითხებში.

### ძირითადი შედეგები:

რელიგია უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის. ის მათთვის უფრო ხშირად წარმოადგენს თვით-იდენტიფიკაციის საფუძველს.

რელიგია ახალგაზრდებისათვის უფრო მეტად არის სოციალური აქტიობის არეალი – უფრო მეტი ახალგაზრდა არის მრევლის წევრი.



ახალგაზრდები უფროსი თაობების წარმომადგენლებზე ნაკლებ ტოლერანტული არიან სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ.

### 3.4. სხვა ღირებულებების და კეთილდღეობის შეფასება

ყველაზე დიდ ღირებულებას რესპონდენტები ჯანმრთელობას, შემდეგ ოჯახსა და სახლს ანიჭებენ. ამ ღირებულებებისა და ფულის მნიშვნელობის შეფასებაში თაობები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, მაგრამ განსხვავდებიან სხვა ღირებულებების შეფასებაში. ახალგაზრდები უფროს თაობაზე უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ თავისუფალ დროს, მეგობრებს, რელიგიას, სამსახურს და განათლებას, უფროსი თაობა კი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

#### ცხრილი 6

თაობების მიერ ღირებულებების მნიშვნელობის რანჟირება

		18-24 წ.	40-50 წ.	60-70 წ.	სულ	განსხვავება
		N=370	N=424	N=262	N=1056	Chi-Square, df, p<.
1	ჯანმრთელობა	98.9	97.4	97.3	97.9	არ არის მნიშვნელოვანი
2	ოჯახი	98.4	96.9	95.5	97.1	არ არის მნიშვნელოვანი
3	სახლი/ბინა	92.1	94.6	93.9	93.6	არ არის მნიშვნელოვანი
4	განათლება	94.1	91.3	87.4	91.3	11.11;4;025

5	ფული	85.7	89.4	90.9	88.5	არ არის მნიშვნელოვანი
6	სამსახური	93.0	88.2	80.6	88.6	31.76;4;001
7	რელიგია	88.1	84.7	84.1	85.7	9.50;4;050
8	მეგობრები	96.2	83.0	73.8	85.3	65.50;4;001
9	თავისუფალი დრო	63.8	49.3	43.2	52.8	35.46;4;001
10	პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება	20.9	34.2	37.1	30.3	28.82;4;001

გამოკითხულთა ნახევარი მიუთითებს, რომ ცხოვრებით არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო. კმაყოფილების გრძნობა უფრო მაღალია ახალგაზრდებთან (43.8 პროცენტი), ვიდრე საშუალო (34.0 პროცენტი) და უფროსი თაობის (35.2 პროცენტი) წარმომადგენლებთან (*Chi Square* 12.33; *df*:4;  $p<.05$ ). ახალგაზრდების ასევე უფრო დიდი ნაწილი (65.6 პროცენტი) მიიჩნევს თავს ბედნიერად. ასაკთან ერთად კი საკუთარი თავის ამგვარი შეფასება კლებულობს (56.1 პროცენტი საშუალო და 46.8 პროცენტი უფროსი თაობის ადამიანებთან, *Chi Square* 24.80; *df*:4;  $p<.001$ ). ახალგაზრდები (66.9 პროცენტი) საშუალო (54.5 პროცენტი) და უფროსი თაობის (54.8 პროცენტი) ადამიანებთან შედარებით ასევე უფრო მეტად არიან დარწმუნებული საკუთარ თავში (*Chi Square* 18.02; *df*:4;  $p<.005$ ) და ბევრად უფრო (75.2 პროცენტი პირველ, 53.6 პროცენტი მეორე და 45.9 პროცენტი მესამე ასაკობრივ ჯგუფში, *Chi-Square* 63.19; *df* 2;  $p<.001$ ) ოპტიმისტურად არიან განწყობილი ცხოვრების მიმართ.

### ძირითადი შედეგები:

ჯანმრთელობა, ოჯახი და სახლი საყოველთაო ღირებულებებს წარმოადგენენ.

ანალგაზრდებისათვის პრიორიტეტულია თავისუფალი დრო, მეგობრები, რელიგია, სამსახური და განათლება, უფროსი თაობისათვის კი პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება.

ანალგაზრდა თაობა უფროს თაობებზე უფრო მეტად გამოხატავს ცხოვრებით კმაყოფილებას, საკუთარ თავში რწმენას, იგი უფრო ბედნიერია და უფრო ოპტიმისტურად არის განწყობილი.

#### 4. დასკვნა

გამოკვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თაობათა შორის ღირებულებებში განსხვავების დადგენა, მიღებული მონაცემების საფუძველზე ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება.

შედეგები ცალსახად მიუთითებენ თაობათა შორის არსებულ განსხვავებაზე. გამოკითხვამ მოგვცა სამი თაობის ადამიანებში არსებული ღირებულების აღწერის და მათი ერთმანეთთან შედარების საშუალება. ეს სამი თაობა წარმოადგენს შვილების, მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობას. ახალგაზრდა თაობა, 18-25 წლის ინდივიდები დაიბადნენ 1986-1993 წლებში და შეგნებული ცხოვრება დამოუკიდებელ საქართველოში გაატარეს, მათი მშობლები, 40-50 წლის ადამიანები, ისევე როგორც ბებიებისა და ბაბუების თაობა დაბადებულნი არიან II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მშობლები 1961-1971, ხოლო ბებია-ბაბუები კი 1941-1951 წლებში და ორივე თაობამ ზრდასრულ ასაკს კომუნისტური წყობის დროს მიაღწია. მათ შორის განსხვავება სასიცოცხლო გამოცდილებაშია. ეკონომიკის ნგრევის დაწყების პერიოდში მშობლების თაობა 20-30 წლის, ხოლო ბებია-ბაბუების 40-50 წლის იყო, შესაბამისად სავარაუდოა, რომ უფროს თაობას უფრო მეტად გაუჭირდებოდა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობასთან მორგება და მათი ღირებულებები მიღებული გამოცდილების საფუძველზე ნაკლებად შეიცვლებოდნენ. ეს დაშვება დადასტურებულ იქნა გამოკვლევაში. თაობათა შორის განსხვავება უფრო ხშირად ხაზოვანია, იზრდება ან მცირდება ასაკთან ერთად. შესაბამისად, უკიდურესი შეფასებები ახალგაზრდა და უფროს თაობებში აღინიშნება. საშუალო და უფროსი თაობის მაჩვენებლები ხშირად უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე ახალგაზრდა თაობის მაჩვენებლებთან.

ღირებულებები ერთი და იგივე ზომით არ იცვლებიან. თაობებს შორის განსხვავება უფრო მეტად არის გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის, ვიდრე მატერი-

ალიზმი/პოსტ-მატერიალიზმის შემთხვევაში. ღირებულებათა ცვლილება თან სდევს სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ტრანსფორმაცია ჯერაც მიმდინარეობს, ასე რომ მოსალოდნელია ღირებულებათა შემდგომი ცვლა. კოლექტივისტურ ორიენტაციას ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები უფროსებზე ნაკლებ იზიარებენ. ახალგაზრდებში ასევე უფრო დიდია მათი წილი, ვინც შერეულ და პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებს იზიარებს. ღირებულებითი ორიენტაციები იცვლება სხვა, თეორიის მიხედვით მათთან დაკავშირებულ ღირებულებებთან ერთად. ასე მაგალითად, ახალგაზრდობის ინდივიდუალიზმისაკენ გადანაცვლებას თან ახლავს ოჯახის შეჭიდულობის და ტრადიციებისადმი ერთგულების მნიშვნელობის შემცირება, ხოლო მატერიალისტურიდან პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებისაკენ გადანაცვლებას გენდერული თანასწორობისა და უმცირესობებისადმი ტოლერანტობის ზრდა.

მოსახლეობა დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს დემოკრატიის მიმართ. აშკარად გამოიკვეთა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებიდან სწორედ მას და არა „გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის ქონას“ მიენიჭა უპირატესობა. საპროტესტო მოძრაობებიც მეტყველებს სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობაზე. ქვეყანაში ხალხის სწრაფი მობილიზაციის მაგალითები სწორედ მედიის თავისუფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული (მაგ. აქცია რუსთავი 2-თან 2003 წელს). მონაწილეობის სიმცირე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის დემოკრატიის განვითარებას. იგი დიდად არ ფასობს და ნაკლებად ხორციელდება. მონაწილეობას საქართველოში სპეციფიური ხასიათი აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა მიმდინარე მოვლენების გულგრილი შემყურეა, დრო და დრო ის ერთვება საპროტესტო აქციებში, მაგრამ ზოგადი ტენდენცია გამოიხატება პასუხისმგებლობის გარკვეული პოლიტიკური ძალისადმი გადაცემაში და იმის ლოდინში, რომ მან შეასრულოს ხალხის დაკვეთა. ამას

გარკვეული პერიოდის შემდეგ მოყვება პოლარიზაცია ხელისუფლების მოწინააღმდეგეებსა, ლოზუნგით „გადადექი“ და მომხრეებს, რომელთა ლოზუნგია „დავაცადოთ“ შორის. მოსახლეობა არ აცნობიერებს, რომ არცერთი პოლიტიკური ელიტა არ არის დაინტერესებული ცვლილებებსა და ძალაუფლების ხალხთან განაწილებაში, ეს ხალხის მუდმივი ზრუნვის და მოქმედების შედეგი უნდა იყოს. დემოკრატიის ამგვარი გაგება ქვეყანაში ჯერ არ არის ფესვგამდგარი და საპარლამენტო არჩევნების წინ ისევ სახეზეა ძველი მოდელი – ახალი იმედების ახალ პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირება და იმის მოლოდინი რომ ახლა ის ააშენებს დემოკრატიას. მაგრამ გაჩნდა პრობლემურ საკითხებზე მიმართული, მართალია მცირე მასშტაბის აქციების პრეცედენტები – სტუდენტების პროტესტი უნივერსიტეტში ქართულენოვანი სახელმძღვანელოების სიმცირისა და სწავლის საფასურის თაობაზე, საშუალო თაობაში, სოლიდარობის აქცია – 60 თანამშრომლის მიერ სამსახურის დატოვება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების პასუხად.

თაობებს შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნა რელიგიასთან მიმართებაში. რელიგია გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდა თაობაში. საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ ეპოქაში, რომელშიც რელიგია მიჩქმალული იყო, ხოლო სახელმწიფო ძლიერი. ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ რელიგიურობა ძირითადად წარსულზე რეაქციას წარმოადგენს (რატიანი, 2006), მაგრამ უნდა არსებობდეს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც. საბჭოთა კავშირის დაშლამ ქაოსი და ეკონომიკური მდგომარეობის მწვავე გაუარესება, ღირებულებათა და მრწამსების მკვეთრი გადაფასების აუცილებლობა გამოიწვია. ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ ხდება ძლიერი და კეთილგანწყობილი ავტორიტეტის ძიება. ასეთი აღმოჩნდა ეკლესია, რომლის ლეგიტიმიზაციის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაიზარდა დამოუკი-

დებელ საქართველოში. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეკლესიის ზეგავლენა უფრო დიდი აღმოჩნდა იმ თაობაზე, რომელიც ამ დროს პიროვნული ზრდისა და ფორმირების პროცესში იყო. ვფიქრობთ ამით უნდა აიხსნას ახალგაზრდების უფროს თაობაზე ბევრად უფრო მეტად რელიგიურობა.

სხვა ქვეყნებში მსგავს კვლევებში მიღებული მონაცემების საპირისპიროდ დადასტურდა პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ყველაზე დიდი ინტერესი უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, რაც სხვა ქვეყნებში უფრო საშუალო ასაკის ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. სხვადასხვა კულტურაში ჩატარებული კვლევების მონაცემების თანახმად რელიგიისადმი ინტერესი ყველაზე მეტად უფროს თაობაშია გამოკვეთილი, საქართველოში კი რელიგიას ყველაზე დიდ მნიშვნელობას ახალგაზრდები ანიჭებენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ღირებულების ცვლილების პროცესი ახალგაზრდებში, რაც გამოიხატება კოლექტივისტური ორიენტაციის შემცირებაში და ნაკლები ოდენობით პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებების ზრდაში. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ცვლილება ასახავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს. სხვებისადმი ნდობის დაბალი დონე, მოსახლეობაში ნაკლები მზაობა თავისთავზე აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარებაზე და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის სიმცირე დემოკრატიის განვითარების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამავდროულად მოსახლეობაში განათლების დიდი რესურსის არსებობა, გლობალიზაცია, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მედიის მეშვეობით ახდენს ზემოქმედებას ადამიანებზე, ჩანს გარკვეული ოდენობით ახერხებს ეკონომიკური სიღუხჭირის ეფექტის კომპენსაციას და ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელია მოზარდობის პერიოდში მონაწილეობის გამოცდილების

შეძენა. სკოლა თანმიმდევრულად უნდა ახორციელებდეს პოლიტიკას, რომელიც განაპირობებს მოსწავლის საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართვას. სასწავლო პროგრამებში ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ზოგადად სხვების მიმართ ნდობის ამაღლებაზე.

### ბიბლიოგრაფია

- ნოღია, გ. (2012). დემოკრატიზაციის კრიზისი საქართველოში. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
- რატიანი, ს. (2006). რამდენიმე შენიშვნა ქართველების რელიგიურობასა და ტრადიციულობის შესახებ. წიგნში: ქართული საზოგადოებრივი ღირებულებები. ღია საზოგადოება – საქართველო. გვ. 39-46.
- Braithwaite, V.A., Scott, W.A. (1991). Values. In J.P.Robinson., P.R.Shaver., L.S.Wrightsmann, Eds.). *Measures of Personality and Social Psychological Attitudes*. San Diego: Academic Press. p.661-745
- Freedom in the World (2011). [www.freedomhouse.org](http://www.freedomhouse.org)
- Heine, S.J. (2010). Cultural psychology. In R.F.Baumeister & E.J.Finkel. *Advanced Social Psychology: The State of the Science*. Oxford: University Press. 655 – 696.
- Hofstede, G. (1980). *Culture's Consequences*. Beverly Hills, CA: Sage.
- Inglehart, R. (1977). *The Silent Revolution*. Princeton, NJ: Princeton University Press, 1977.
- Inglehart, R. (1997). *Modernization and Postmodernization: Cultural, economic and political change in 43 societies*. Princeton University Press. Princeton. N.J.



- Jones, W., Couch, L., & Scott, S., (1997). Trust and Betrayal. In R.Hogan., J.Johnson., & St.Briggs.(Eds.). *Handbook of Personality Psychology*. San Diego: Academic Press. P.465-485.
- Markus, H., & Kitayama, S. (1991). Culture and the self: Implications for cognition, emotion, and motivation. *Psychological Review*, 98, 224-253.
- Oyserman, D., Coon, H.M., & Kemmmelmeier, M. (2002). Rethinking individualism and collectivism: Evaluation of theoretical assumptions and meta-analyses. *Psychological Bulletin*, 128, 2-72.
- Rokeach, M. (1973). *The Nature of Human Values*. N.Y.: Free Press.
- Schwartz, S. H. & Bilsky, W. (1987). Toward a Universal Psychological Structure of Human Values. *Journal of Personality and Social Psychology*, 53: 550-562.
- Sumbadze, N., & Tarkhan-Mouravi, G. (2004). *Political Change and Public Opinion in Georgia: 2002-2003*. IPS, Tbilisi. (In Georgian and English).
